დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(სსიპ - ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ლეწურწუმეს თემის საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ინა ბიწაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);

წევრები:

- დალი თურმანიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
- ნინო ხუტილაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ციალა ჩიტია (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ნათია კილაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ელენე ხუციშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ნინო მარღიშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- მარი ფალელაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- შაქრო ჟღენტი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- ედუარდ ნაკაიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
- სალომე ცხვედიანი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ლეწურწუმეს თემის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	**საჯარო სამართლის იურიდიული პირი**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	242263545

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	პირველი შენობა - ქალაქი ჩხოროწყუ, ლეწურწუმეს თემი. მეორე შენობა- ქალაქი ჩხოროწყუ, ლეწურწუმე, ეგიარზენის უბანი.
ფაქტობრივი მისამართი	პირველი შენობა -ჩხოროწყუ, ლეწურწუმეს თემი. მეორე შენობა- ჩხოროწყუ, ლეწურწუმე, ეგიარზენის უბანი.
საფოსტო ინდექსი	**5000**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://tinyurl.com/3aersdcv
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Letsurtsume@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577122508

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანება MES 0 25 0000931807 30/07/2025
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	9-10 სექტემბერი, 2025 წ.

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური I – VI კლასი	ქართული	პირველი შენობა - ჩხოროწყუ, ლეწურწუმეს თემი. მეორე შენობა- ჩხოროწყუ, ლეწურწუმეს

				თემი, ეგიარზენის უბანი.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური VII – X კლასი	ქართული	პირველი შენობა - ჩხოროწყუ, ლეწურწუმეს თემი.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური XI – XII კლასი	ქართული	პირველი შენობა - ჩხოროწყუ, ლეწურწუმეს თემი.

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 30 ივლისის ბრძანება MES 0 25 0000931807 საფუძველზე განხორციელდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრთა ვიზიტი სსიპ - ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ლეწურწუმეს თემის საჯარო სკოლაში. დაწესებულებაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც შედგა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც გასაცნობად გადაეგზავნა დაწესებულებას. ექსპერტების მიერ სკოლიდან შესაბამის ვადებში გამოთხოვილი იქნა დამატებითი დოკუმენტაცია, რომელიც სკოლამ დროულად მოგვაწოდა. ვიზიტმა ჩაიარა საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შესაბამისობას ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებაში. დაათვალიერა ინფრასტრუქტურა და გაესაუბრა როგორც

ადმინისტრაციულ პერსონალს, ასევე სკოლის მასწავლებლებს. ექსპერტებმა ადგილზე დათვალიერების საფუძველზე შეისწავლეს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ლაბორატორიები.

ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ ონლაინ რეჟიმში გასაუბრებოდნენ მასწავლებლებს და მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით. დაწყებითი საფეხურის ექსპერტი ესაუბრა ასევე საფეხურზე შემავალი საგნების ყველა პედაგოგს და გააკეთა შეფასების რევიზია. სკოლაში ზოგად ექსპერტებთან ერთად იმყოფებოდა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

ვიზიტის ბოლოს ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომელიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა. ორდღიანი ვიზიტის ფარგლებში სკოლამ გამოავლინა თანამშრომლობის მაღალი კულტურა. სკოლის პერსონალს კარგად აქვს გააზრებული საკუთარი უფლება-მოვალეობანი, იცნობენ განათლების სისტემაში მიმდინარე სიახლეებს და ნერგავენ სასკოლო პრაქტიკაში, სასკოლო საზოგადოება მზადაა მუდმივი განვითარების, მონიტორინგისა და შეფასებისთვის.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სკოლის ძლიერ მხარეს წარმოადგენს მოსწავლეთა თვითმმართველობა. მოსწავლეთა აქტიური და ნაყოფიერი მუშაობა სკოლის განვითარებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ საბაზო და საშუალო საფეხურზე კლასებში სულ 20 მოსწავლეა, ნანახი მასალებით(პროექტები, ვიდეომასალა, ფოტოები) გაირკვა, რომ მოზარდები არიან აქტიურები და ინიციატივიანები.

მასწავლებლებთა, სკოლის დირექციასა და თემთან თანამშრომლობით ახორციელებენ უამრავ პროექტს. აღსანიშნავია „ციფრული მემკვიდრეობის პროექტი“, რომელის ფარგლებშიც შეიქმნა მშობლიური თემის ელექტრონული გვერდი, სადაც თავმოყრილია: სოფლის თვალსაჩინოებები, ლამაზი და საინტერესო ადგილები, ადგილობრივი ამბები და ისტორიები, ცნობილი ადამიანების ბიოგრაფიები.

თვითმმართველობის ინიციატივითა და აქტივობით შეიქმნა სკოლის გერბი, რომელიც ასახავს დაწესებულების ღირებულებებსა და ტრადიციებს(გადაშლილი წიგნი-განათლებას, ცოდნას აღნიშნავს, ხელის მტევნები -მზრუნველ, კეთილგანწყობილ, ინკლუზიურ გარემოს, ხოლო ანთებული კელაპტარი(მეგრულად წურწუმი) -სოფლის სახელწოდებას უკავშირდება. გერბზეა ლათინური წარწერა - „ცოდნა თავისუფლებაა“

ამ ეტაპზე მოსწავლეთა თვითმმართველობა მუშაობს სკოლის შინაგანაწესში ცვლილების შესატან ინიციატივაზე, რომელიც ეხება სასკოლო ფორმების შემოტანას. მათი ინიციატივით დაიწყო მუშაობა პროექტზე –„ეკოლოგიური განათლება პრაქტიკაში“. განსაკუთრებით აღსანიშნავია მოსწავლეების მიერ ინიცირებული ეკომოგზაურობა ლუგელას ხეობაში - მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ყველაზე ეკოლოგიურად მნიშვნელოვან ადგილას, სადაც განთავსებულია ჰიდროელექტროსადგური „ხობი 2“. ეკომოგზაურობის ფარგლებში მოსწავლეებმა შეხვდნენ ჰიდროელექტროსადგურის კვალიფიციურ თანამშრომლებს. ამ შეხვედრამ მოზარდებს საშუალება მისცა დაესახათ გრძელვადიანი პარტნიორობის იდეა.

მოზარდების შემუშავებული პროექტის საფუძველზე დაიწყო სისტემური თანამშრომლობა "ხობი 2-ის" ჰიდროელექტროსადგურთან. მათთვის ჩატარდება სპეციალიზებული გაკვეთილები - ჰიდრო და ელექტროინჟინრების მიერ ელექტროობისა და ენერგეტიკის შესახებ. მოსწავლეები შეძლებენ თეორიული ცოდნის რეალურ გარემოში გამოყენებას. კარიერული ორიენტაციის მიმართულებით კი მათ შეეძლებათ ინჟინერიული სპეციალობების გაცნობა.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 245	**ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება** ☐	**აღწერა** ***(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)***

	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☒	ექსპერთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას. სკოლას არ აქვს საკმარისი რაოდენობის ინვენტარი(მერხი, სკამი, მაგიდა) რეალურად სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას 150 მოსწავლეზე .

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

- ექსპერტთა ჯგუფმა სრულად შესაბამისად შეაფასა ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;
- ექსპერტთა ჯგუფმა სრულად შესაბამისად შეაფასა ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;
- ექსპერტთა ჯგუფმა სრულად შესაბამისად შეაფასა ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	*ხარვეზი*

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

ინდიკატორი N...		
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციულ და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***

ინდიკატორი N 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციები მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული	1.სსიპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სოფელ ლეწურწუმეს ეგიარზენის უბნის (მიერთებული) დაწყებითი სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია და არსებული სახით ექსპლუატაცია საფრთხის შემცველია. სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით, შენობის რეაბილიტაცია 01.10. 2027 წლისთვის. 2. სკოლამ მოიპოვოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა , ევაკუაციის გეგმა , რაც გათვალისწინებული აქვს სკოლას შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში. 3. სსიპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სოფელ ლეწურწუმეს საჯარო სკოლის ტერიტორიაზე არის ამორტიზებული დამხმარე შენობები: ყოფილი სახელოსნო, ტექნიკის სადგომი, საქვაბე და საპირფარეშო, რომელიც შეფასებულია ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ. არის საფრთხის შემცველი და N5001670825 დასკვნის საფუძველზე საჭიროებს დემონტაჟს. სკოლამ უზრუნველყოს ამორტიზებული შენობების დემონტაჟი შესაბამისობის გეგმაში მითითებულ ვადებში. (01.10.2026წ.)

	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	
ინდიკატორი N 3.5.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების	1.სკოლამ შეიძინოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებული რესურსი STEAM ლაბორატორიისთვის შესაბამისობის გეგმაში მითითებულ ვადებში.(01.10.2026) 2.სკოლამ ბალანსზე აიყვანოს ყველა რესურსი, მატერიალურ და ტექნიკურ რესურსს მიანიჭოს შესაბამისი ნომერი. შესაბამისობის გეგმაში გათვალისწინებულ ვადებში.

	ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;	
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N...		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N...		

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*

ინდიკატორი N1.1.1.1.	სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს	სკოლას მიეცა რჩევა ვებ გვერდზე ატვირთული მისიის შესაბამისად დააკორექტიროს დოკუმენტები.
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	***რჩევა***
3.1.2.4.	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;	სკოლამ ვაკანსიების გვერდზე მუდმივად განაახლოს გამოქვეყნებული ინფორმაცია ხელოვნების მასწავლებლის ვაკანტური ადგილის შესახებ, ეგიარზენის დაწყებით სკოლაში, ხელოვნების მასწავლებლის პოზიციაზე კვალიფიციური კადრის დასაქმებამდე.
ინდიკატორი N3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციები მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და	სკოლას მიეცა რჩევა, შრომის უსაფრთხოების ნორმების დასაცავად, გამოყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი

	სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	
ინდიკატორი N3.6.3.5.	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურებ და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერ სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედ გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია;	სკოლას მიეცა რჩევა ვებ გვერდზე სრულყოფილად ატვირთოს სავალდებულო დოკუმენტაცია.
ინდიკატორი N3.7.1.2.	სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა;	სკოლას მიეცა რჩევა : სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ, 2024 წლის 18 ნოემბრის N 2-29 ბრძანებაში, სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ,

		შეიტანოს ცვლილება ტექნიკური ხარვეზის გამოსწორებასთან დაკავშირებით.
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი N...		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)**	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	**უცხოური ენების** ექსპერტის რჩევით, რეკომენდებულია, რომ კურიკულუმში და კომპლექსურ დავალებებში გათვალისწინებული იყოს სსსმ მოსწავლეებზე მორგებული აქტივობები. **ესთეტიკური აღზრდის** ექსპერტის რჩევით, სასურველია სკოლამ დაწყებითი და საბაზო საფეხურის კურიკულუმის დაგეგმვისას გაითვალისწინოს ყველა სტრუქტურული ერთეული: თემატური ბლოკი, თემა, სამიზნე ცნება/ქვეცნება, საკითხი, კონტექსტ მაგალითი, შემოქმედებითი დავალება, რესურსი და დაიცვას საფეხურით განსაზღვრული სტანდარტთან მიმართებები. სასურველია მუსიკის და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სამივე საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო იყოს ერთნაირი. ასევე დაწყებით და საბაზო საფეხურის რესურსების გრაფა იქნას სრულად შევსებული გვერდების მითითებით. **სახელმწიფო ენის** ექსპერტის თქმით, სასურველია სკოლამ სამომავლოდ დოკუმენტების სახით შემოინახოს მოსწავლეთა საჭიროების კვლევის ამსახველი მასალები. **მათემატიკის** ექსპერტის რჩევით, სასურველია კურიკულუმში გაიწეროს სასწავლო რესურსები, რომელიც იქნება მრავალფეროვანი. **ტექნოლოგიების** ექსპერტის თქმით, სასურველია კურიკულუმში გათვალისწინებული იყოს მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებები და შესაძლებლობები. **ზოგადი**

		განათლების დაწყებითი საფეხურის ექსპერტის რჩევით, კარგი იქნება, თ მასწავლებლები მეტად გამოიყენებენ ბუნებრივ გარემოს, რათა არაფორმალური განათლების მიმართულებითაც მოსწავლეებმა მეტი გამოცდილება მიიღონ.
ინდიკატორი 2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	**უცხოური ენების** ექსპერტის რჩევით, მიზანშეწონილია მომავალში კურიკულუმში უფრო დეტალურად აისახოს კონკრეტული სასწავლო აქტივობები და მეთოდები, რომლებიც მოსწავლეებს პრაქტიკულად შეუწყობს ხელს კომუნიკაციის, თანამშრომლობისა და კრიტიკული აზროვნების განვითარებაში. ასევე, სასარგებლო იქნება კულტურათაშორისი პროექტებისა და ინტერაქტიული დავალებების ინტეგრირება, რათა გლობალური ფუნქციური უნარები უფრო ეფექტიანად ჩამოყალიბდეს. **ტექნოლოგიების** ექსპერტის თქმით, უმჯობესია, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად ყველა კლასში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება.
ინდიკატორი N2.1.2.3.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიღწევას;	**საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** ექსპერტის რჩევით, კურიკულუმში ასახული ტელესკოლისა, თუ სხვა ონლაინ რესურსების ბმულის სახით დაფიქსირება „სასწავლო რესურსების“ ველში, ყველა კლასის კურიკულუმში გამოყენებულ იქნეს ტელესკოლის რესურსები. სასურველია, ელექტრონული რესურსების მრავალფეროვნება (ვიდეო/ანიმაციური ფილმები), ასევე, სპეციალურად შემუშავებული რესურსები, რასაც თავად იყენებენ სასწავლო პროცესში: დაკვირვების ფურცლები, ექსპერიმენტის აღმწერები და ა.შ. **საზოგადოებრივი მეცნიერებების** ექსპერტის თქმით, სასურველია სკოლამ კიდევ მეტად მრავალფეროვანი რესურსი შესთავაზოს მოსწავლეებს, როგორც წყაროები, ასევე, ფილმები, პრეზენტაციები და სხვა, რადგან, ხშირ შემთხვევაში, მხოლოდ ერთი დამატებითი რესურსია შემოთავაზებული ასევე, საჭიროა წარმოადგინონ უფრო კონკრეტული ინფორმაცია კურიკულუმში რესურსის შესახებ. ეს იქნება კონკრეტული ბმული,

		ფილმის სახელწოდება თუ სხვა. **უცხოური ენების** ექსპერტის რჩევით, სასურველია კათედრამ საგნობრივი მიმართულებით წინასწარ განსაზღვროს რესურსების დეტალური ჩამონათვალი, რაც ხელს შეუწყობს სწავლების პროცესის უკეთ დაგეგმვას, რესურსების მიზანმიმართულ გამოყენებას და მოსწავლეთა სწავლაზე ორიენტირებულ, აქტიურ ჩართულობას. ასევე, სასურველია, სსსმ მოსწავლეთათვის კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები იყო კიდევ უფრო ინდივიდუალიზებული და დიფერენცირებული. **ესთეტიკური აღზრდის** ექსპერტის რჩევით, სასურველია, გადაიხედოს შემოქმედებითი პროდუქტის რაოდენობა, რათა მოხდეს სასწავლო მასალის სრულფასოვნად ათვისება კონკრეტულ ვადაში, კათედრაზე ჩამოყალიბდეს ერთიანი ხედვა, სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა დ მუსიკაში **დაწყებით და საბაზო საფეხურზე** შემოქმედებითი პროდუქტი (კომპლექსური დავალების) რაოდენობასთან დაკავშირებით, მაგალითად, სემესტრის განმავლობაში ერთი მაინც; სასურველია **მუსიკაში ყველა საფეხურის კურიკულუმში** ჩაემატოს „მაგალითები შედარებისთვის“ სვეტი და შეივსოს თემის, ცნება/ქვეცნებების და საკითხის გათვალისწინებით. სასურველია, ძირითად რესურსად გამოყენებული იყოს გრიფირებული სახელმძღვანელოები, გვერდების მითითებით. **მათემატიკის** ექსპერტის რჩევით, სასურველია კურიკულუმში გათვალისწინებული იყოს სხვადასხვა სახის რესურსები
ინდიკატორი N2.1.2.4.	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	**საზოგადოებრივი მეცნიერებების** ექსპერტის რჩევით, სასურველია, სკოლამ უფრო აქტიურად მიმართოს დიფერენცირებულ მიდგომებს. მოსწავლეებს მისცეს არჩევანის გაკეთების საშუალება, როგორც დავალების ფორმატის, ასევე, შინაარსისა და სტრუქტურის ნაწილში. აღნიშნული მოსწავლეებს საშუალებას მისცემს, მეტად გამოავლინონ ინდივიდუალური შესაძლებლობები, ასევე, გაზრდის მოსწავლეთა ჩართულობასა და მოტივაციას. **უცხოური ენების** მიმართულებით,

		სასურველია, სკოლამ სასწავლო პროგრამაში მკაფიოდ განსაზღვროს დიფერენცირებული დავალებებისა და აქტივობების მაგალითები, შესრულების პირობები და დეტალური ინსტრუქციები. **ესთეტიკური აღზრდის** ექსპერტის მიერ, სკოლას მიეცა რჩევა, ისგ, რომელსაც მოსწავლეს შეუდგენენ, მოიცავდეს ასაკობრივ თავისებურებებს, შეასწავლიდეს ზუსტად იგივე თემას, საკითხს და ამუშავებდეს ყველა ქვეცნებას, რომელიც გათვალისწინებულია კომპლექსური დავალების შესრულებისთვის. ოღონდ, მოცემულობა მოერგოს მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებს და შესაბამისად, წარიმართოს თემის დაძლევაზე მუშაობაც. **მათემატიკის** ექსპერტის თქმით, სასურველია სკოლაში ტესტები შემუშავდეს იმდაგვარად, რომ მოსწავლეთა შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოვლინდეს. **ტექნოლოგიების** ექსპერტის რჩევით, მნიშვნელოვანია მასწავლებელმა დაგეგმოს აქტივობები მოსწავლეთა საჭიროებების დადგენის მიზნით და შედეგებიდან გამომდინარე მოახდინოს კურიკულუმის მოდიფიცირება.
ინდიკატორი N2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	**საზოგადოებრივი მეცნიერებების** ექსპერტის რჩევით, შეფასების ფორმათ ორგანიზებისას სასურველია, მეტი სიზუსტით ერგებოდეს კონკრეტულ აქტივობას და მკაფიოდ იკვეთებოდეს შესაბამის სამიზნე ცნებებთან კავშირი. **უცხოური ენების** ექსპერტის რჩევით, სასურველის, რომ თითოეულ საფეხურზე ენის გათვალისწინებით შეიქმნას ცხადი და დეტალური კრიტერიუმები, რომლებიც განსაზღვრავს მოსწავლის ცოდნის, უნარების და კომპეტენციების მიღწევის დონეს, რაც უზრუნველყოფს შეფასების სამართლიანობას და შესაძლებლობას, ადეკვატურად შეაფასონ წინსვლა და საჭიროების შემთხვევაში განხორციელდეს სწავლის დიფერენცირება. რეკომენდებულია კრიტერიუმები დაეფუძნოს კონკრეტულ უნარებსა და შეესაბამებოდეს საგნის მიზნებსა და მასალას. **ესთეტიკური აღზრდის** ექსპერტმა კათედრას მისცა რჩევა, შექმნას განმავითარებელი და განმსაზღვრელი

		შეფასების რუბრიკები ყველა თემასთან მიმართებით, რაც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.
ინდიკატორი N2.2.1.1.	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად.	**უცხოური ენების** ექპერტის რჩევით, სასურველია, კურიკულუმში უფრო მეტი შემოქმედებითი პროდუქტის შექმნაზე ორიენტირებული დავალებ და საგნობრივი პროექტის იდეა იყოს წარმოდგენილი. ეს დაეხმარება მოსწავლეებს საკუთარი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებაში, კრიტიკული და კრეატიული აზროვნების განვითარებაში და უფრო აქტიურად ჩართავს მათ სწავლის პროცესში. სასურველია ყველა საფეხურზე აქტიურად გამოიყენონ დიფერენცირებული და ინტერაქტიული მეთოდები, რომლებიც ხელს შეუწყობს სწავლის მიზნების ეფექტურ მიღწევას. **მათემატიკის** ექსპერტის თქმით, ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება სასურველია კათედრაზე მჭიდრო თანამშრომლობის გზით იქნას მიღებული.
ინდიკატორი N2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.	**საზოგადოებრივი მეცნიერებების** ექსპერტის თქმით, სასურველია სკოლ უფრო აქტიურად გამოიყენოს შეფასების სხვა ფორმები, როგორებიცაა თვითშეფასება, მოსწავლეთა შეფასება და სხვა... ასევე, შეფასების ფორმათა ორგანიზებისას სასურველია, მეტი სიზუსტით ერგებოდეს კონკრეტულ აქტივობას და მკაფიოდ იკვეთებოდეს შესაბამის სამიზნე ცნებებთან კავშირი. **უცხოური ენების** ექსპერტის თქმით, სასურველია, რუბრიკები გახდეს უფრო კონკრეტული და დავალებების ტიპებზე მორგებული. მიზანშეწონილია, კათედრამ მოამზადოს რამდენიმე ნიმუში სხვადასხვა ტიპის დავალებისთვის (პროექტი, წერითი, ზეპირი, შემაჯამებელი), რათა პრაქტიკაში გამოყენება უფრო ადვილი გახდეს. სასურველია, შემაჯამებელი დავალებები წარმოდგენილი იყოს მრავალფეროვანი და ღია ტიპის, არა მხოლოდ ტესტური ან დახურული, არამედ მორგებული ტექსტსა და თემატიკაზე, რაც გაზრდის მოსწავლეთ კრეატიულობასა და რეალური ენობრივი უნარების პრაქტიკაში

		გამოყენებას. **მათემატიკის** ექსპერტის თქმით, სასურველია, შეფასების რუბრიკა ყველა თემაზე შეიქმნას და ჩაწერილი იყოს კურიკულუმშივე.
ინდიკატორი N2.2.2.1.	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში; **(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)**	**საზოგადოებრივი მეცნიერებების** ექსპერტის თქმით, სასურველია, რესურსების შერჩებისას სკოლამ გაითვალისწინოს ცალკეული მოსწავლის ინდივიდუალური სპეციფიკა და მეტად მრავალფეროვანი დამატებითი მასალა შესთავაზოს მათ. სხვადასხვა თემების განხილვისას შეიძლება კიდევ მეტი ციფრული თუ სხვა მატერიალური რესურსის შეთავაზება, რაც სწავლის პროცესს მეტად საინტერესოსა და მრავალფეროვანს გახდის. **უცხოური ენების** ექსპერტის რჩევითმ სასურველია, რესურსების გამოყენების სტრატეგიები იყოს უფრო მკაფიოდ აღწერილი, მაგალითად, რომელი რესურსი რომელ უნარს ემსახურება. მიზანშეწონილია მოსწავლეთა უკუკავშირის სისტემატური გამოყენება რესურსების ეფექტიანობის შესაფასებლად. კათედრამ შეიძლება შეიმუშაოს რესურსების ნუსხა, რომელიც ეტაპობრივად განახლდება და მორგებული იქნება როგორც ასაკობრივ თავისებურებებზე, ისე ენობრივ დონეებზე.
ინდიკატორი N2.2.2.2.	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	**უცხოური ენების** ექსპერტის თქმით, სასურველია სკოლამ რეგულარულად შეამოწმოს დამხმარე სასწავლო რესურსების გამოყენება და დადასტურებული რესურსები გამოიყენოს სწავლის პროცესში. ასევე სასურველია გამოყენებული რესურსები იყოს მრავალფეროვანი და ინტერაქტიული. **მათემატიკის** ექსპერტის რჩევით, სასურველია სკოლამ შეიმუშაოს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციის წესი და კათედრამ დამხმარე რესურსების ვალიდაცია ამ წესით განსაზღვრული პროცედურებით განახორციელოს.
ინდიკატორი N2.2.2.3.	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა	**უცხოური ენების** ექსპერტის რჩევით, მიზანშეწონილია, შემოქმედებით დავალებების განხორციელებისას რესურსები წინასწარ დაიგეგმოს და უფრო მკაფიოდ აისახოს, როგორ უწყობს ხელს თითოეული მათგანი მოსწავლეთა უნარების განვითარებას.

	ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.	

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სკოლამ სრულად გაიზიარა დასკვნის პროექტში ასახული ფაქტობრივი გარემოებები. წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია; გამოასწორა დასკვნის პროექტში მითითებული რამდენიმე ხარვეზი; მზადაა შეასრულოს შესაბამისობის გეგმაში შეტანილი აქტივობები და რჩევები გაითვალისწინოს ეტაპობრივად.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან შესაბამისი სკოლის მისია და ხედვა, რომელიც ასახავს სკოლის ძირითად დანიშნულებას. იგი ორიენტირებულია სასკოლო გარემოს ფორმირებასა და განვითარებაზე. სკოლის ვებ გვერდზე ატვირთული მისია არ ემთხვევა დოკუმენტაციაში ასახულ მისიას, **სკოლას მიეცა რჩევა ვებ გვერდზე ატვირთული მისიის შესაბამისად დააკორექტიროს დოკუმენტები. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს; სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას და ადგილზე ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში ნამდვილად დაცულია სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული გარემო. სასკოლო პროექტებითა და განხორციელებული აქტივობებით სკოლა ქმნის განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო -კულტურულ სივრცეს. პროექტები ხელს უწყობს სკოლის კულტურის განვითარებას, ურთიერთთანამშრომლობას, სასკოლო თემის კულტურის განვითარებას, ემპათიის გრძნობის ჩამოყალიბებას, კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებას, მოქალაქეობას, მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლებას; სკოლაში მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა ჯანსაღი

ცხოვრების წესის დამკვიდრებას. სკოლაში შექმნილია გარემო, სადაც თითოეულ მოსწავლეს ეძლევა თავისი შესაძლებლობების გამოვლენისა და უსაფრთხო პიროვნული განვითარების საშუალება;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლამ მისიისა და ხედვის შემუშავება დაიწყო მასწავლებელთა, დირექციის და ადმინისტრაციის ერთობლივ სამუშაო შეხვედრაზე, მისიისა და ხედვის დოკუმენტის შექმნის პროცესში აქტიურად მონაწილეობდა საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელმაც სკოლის დირექციას მიაწოდა შეხედულებები დოკუმენტთან დაკავშირებით.გათვალისწინებულ იქნა მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესები. ამ ეტაპზე სკოლის მიერ წარმოდგენილია კითხვარები. სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, სადაც იკვეთება სასკოლო საზოგადოების ჩართულობა და გაზიარებულობა მისიის, ხედვისა და სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლის ინფორმაციით, მისია და ხედვა შემუშავების პროცესში გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, განიხილებოდა კათედრის სხდომებზე, პედსაბჭოსა და სამეურვეო საბჭოზე. ინტერვიუს დროს დირექცია აღნიშნავდა, რომ მასწავლებლები და სასკოლო საზოგადოება გაეცნო მისიის პროექტს და ზეპირი უკუკავშირებითა და რეკომენდაციებით მიიღეს თანამონაწილეობა მისიის შემუშავებაში. მოსაზრებების გაცვლის პროცესი ასახვდა სასკოლო საზოგადოების ჩართულობას და მის მიერ გაზიარებულობას მისიის შემუშავების პროცესში, რასაც ადასტურებს სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
5. სკოლის მისია და ხედვა საჯაროდაა ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისათვის. გამოკრულია სკოლის ფოიეში, განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე, დეკლარირებულია 2025-2026 წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს, კერძოდ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N448 (15/09/2005) - "ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მისია, ხედვა;
- სკოლის ვებგვერდი;

- ინტერვიუ სასკოლო საზოგადოებასთან;
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია (ბრძანებაN 2-16. 2.09.2024 წ) რომელიც ადგენს სსიპ - ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ლეწურწუმეს თემის საჯარო სკოლის მმართველობითი პროცესის - მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ძირითად ეტაპებს, განსაზღვრავს პროცესზე პასუხისმგებელ პირსა და პროცესში ჩართულ მხარეებს. ასევე განსაზღვრავს აღნიშნული დოკუმენტების შემუშავების, განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის და გაზიარების მექანიზმებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

სკოლა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში მაქსიმალურად ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების წევრთა მოლოდინს, რისთვისაც, სტრატეგიული დაგეგმვის ყოველი ახალი ციკლის დასაწყისში განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების წევრებს და უზრუნველყოფს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში მათ ჩართულობას, სტრატეგიული დაგეგმვის პროცეში შემუშავებული დოკუმენტების მათთვის გაზიარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლამ 2024-2025 სასწავლო წლის დასასრულს, სკოლის მისიის ხედვის ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმვის შემუშავება-გაზიარებაზე მომუშავე ჯგუფის ინიციატივით, ცვლილებები შევიდა შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმაში, რომელიც არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად

მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.სკოლამ ვიზიტისას წარმოადგინა 2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომლის გაცნობით დადასტურდა, რომ იგი შეესაბამება და გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან. სკოლამ წარმოგვიდგინა 2024 წლის 10 დეკემბრის ანგარიში, სადაც ასახულია ინფორმაცია სკოლის ფინანსური საქმიანობისა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ. ანგარიში გვაძლევს უფლებას, ვთქვათ, რომ სკოლას შეუძლია საკუთარი საქმიანობის რეფლექსია, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოკვეთა. ეს ჩანს ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მეთოდოლოგიაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მიერ წარმოდგენილია 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, ვადები, პასუხისმგებელი პირები, გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მეთოდოლოგიის დოკუმენტში იკვეთება, რომ სკოლა ფლობს საჭირო თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას, რათა სწორად დაიწყოს და დაასრულოს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის რევიზირების პროცესი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შექმნის მეთოდოლოგია;
- 2024 წლის 10 დეკემბრის დირექტორის ანგარიში;
- ინტერვიუ.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. მონიტორინგის პროცესს კოორდინაციას უწევს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე. სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ნიშნავს მონაცემების შეგროვებას სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების სტატუსთან დაკავშირებით, ასევე მოიცავს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენას. შეფასება ნიშნავს შეგროვებული მონაცემების გაანალიზებას და შემდგომი რეაგირების საჭიროების განსაზღვრას. სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შეფასების პროცესის შედეგად შეიძლება გამოიკვეთოს აღნიშნულ დოკუმენტებში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა; ასევე, შეფასების შედეგები სკოლის მენეჯმენტს აძლევს ინფორმაციას დაგეგმვის პროცესის ხარისხის, აქ არსებული გამოწვევების და პრობლემების შესახებ. შეფასების შედეგებს სკოლა იყენებს სკოლის შემდგომი განვითარებისათვის. განსაზღვრულ ვადებში პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ შესრულების ანგარიშს, იმართება შეხვედრები და განხილვები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმების მეთოდოლოგიაში კარგად ჩანს, რომ სკოლას სიღრმისეულად აქვს გააზრებული სასკოლო პროცესებში მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების მნიშვნელობა. აგრეთვე ის, რომ სწორედ მონიტორინგის შედეგად მიღებულმა ინფორმაციამ შესაძლოა განაპირობოს საჭირო და დროული ცვლილებების შეტანა გეგმაში. თუმცა ამ ეტაპზე სკოლას არ წარმოუდგენია მტკიცებულებები სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების მონიტორინგის განხორციელებისა, მეთოდოლოგიაში მოცემულმა სურათმა დაგვიტოვა განცდა, რომ მომავალი სასწავლო წლიდან სკოლაში წარიმართება მონიტორიგისა და შეფასების პროცესი და მოხდება შედეგების დოკუმენტირება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3.სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები ამ ეტაპზე ვერ იქნება საჯარო, რადგან სკოლა ავტორიზაციის პროცესში მონაწილეობს, როგორც ახალდაფუძნებული დაწესებულება. სკოლა გეგმავს ვებგვერდზე გაასაჯაროოს

ყველა სტრატეგიული დოკუმენტი, რომელიც დაინტერესებულ პირებს მიაწვდის სკოლის ძირითადი მმართველობითი და დამხმარე პროცესების შესახებ დეტალურ ინფორმაციას. და ამდენად, სამომავლოდ სკოლა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმისა და სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის გამოქვეყნებას სკოლის ვებგვერდზე; **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლასთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშის მნიშვნელობა სწორად აქვთ გააზრებული. მათი თქმით, ეს არის ერთგვარი პრევენციული ღონისძიება. ყველა ის პრობლემა, რაც აღიწერება ანგარიშში, გათვალისწინებულ იქნას მომდევნო წლის სამოქმედო გეგმაში. ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგებს სკოლა გამოიყენებს სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შვიდწლიანი სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შექმნის მეთოდოლოგია.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ლეწურწუმეს თემის საჯარო სკოლას წარმოდგენილი აქვს სკოლის სტრუქტურა გრაფიკული გამოსახულების სახით, რომელიც მოიცავს შემდეგ ერთეულებს: სამეურვეო საბჭოს, დირექციას, ადმინისტრაციას, პედაგოგიურ საბჭოს, დისციპლინურ კომიტეტს, საგნობრივი ჯგუფის კათედრებს, მოსწავლეთა თვითმმართველობას. სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო. სკოლას შემუშავებული აქვს თანამდებობრივი ინსტრუქციების წესი, რომელიც დამტკიცებულია 2024 წლის 6 სექტემბრის N 2-18 ბრძანებით.

სკოლის დირექცია შედგება დირექტორისა და ბუღალტრისგან.

ადმინისტრაციაში შედის - საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, სკოლას ჰყავს სპეცმასწავლებელი, ექიმი, დამლაგებელი, დარაჯი და ცეცხლისფარეში.

პედაგოგიური პერსონალი შედგება - 29 მასწავლებლისაგან; 3 წამყვანია, 25 უფროსი, 1 სპეც მასწავლებელი. დაწყებით სკოლაში ხელოვნების მასწავლებელს არ აქვს სტატუსი, სკოლა ყოველწლიურად აცხადებს ვაკანსიას, მაგრამ არავინ ეხმაურება.

სკოლაში ფუნქციონირებს საგნობრივი კათედრები: ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის, ისტ-ის, უცხოური ენების, საზოგადოებრივი მეცნიერებების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, დაწყებითი საფეხურის, სპორტისა და ესთეტიკური აღზრდის. კათედრის სხდომა ფორმდება კათედრის სხდომის ოქმით. სკოლას წარმოდგენილი აქვს კათედრის ოქმები, შესაბამის ვადებში და შესაბამისი დღის წესრიგით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.სასკოლო საზოგადოებას წარმოადგენს სკოლის ყველა თანამშრომელი, რომელთა მოვალეობანი და უფლებამოსილებანი განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით, გაფორმებული ხელშეკრულებებით, შინაგანაწესით, რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს 2024 წლის 15 იანვრის N1 სხდომის ოქმით. საზოგადოებასთან გასაუბრებით ირკვევა, რომ სკოლაში ფუნქციებისა და პასუხისმგებლო ბების განაწილების არსებული პრაქტიკა, ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის წარმატებით განხორციელებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრუქტურა;
- თანამდებობრივი ინსტრუქციების წესი
- შინაგანაწესი;
- კათედრების ოქმები;
- მრჩეველთა საბჭოს ბრძანება
- ინტერვიუ;

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას პერსონალის მართვის წესები და პირობები წარმოდგენილი აქვს შინაგანაწესით, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. შინაგანაწესით განსაზღვრულია: სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, ყოველდღიური სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო; დასვენების ხანგრძლივობა; შრომის ანაზღაურების გაცემის დრო და წესი; ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; შრომის პირობების დაცვის წესები;

წახალისებისა და პასუხისმგებლობის სახე და გამოყენების წესი; მატერიალური პასუხისმგებლობა; განცხადების/ საჩივრის განხილვის წესი; სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ზოგადი ნორმები; სკოლაში ჩაცმულობის წესი.

სკოლის პერსონალთან გაფორმებულია მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის შინაგანაწესის შესაბამისი ხელშეკრულებები, პერსონალთან დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრულია, რომ სკოლის შინაგანაწესი ხელშეკრულების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია. ხელშეკრულების ხელმოწერით დასაქმებული ადასტურებს შინაგანაწესის გაცნობის ფაქტს.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის შინაგანაწესით გაწერილის პერსონალის მართვასთან დაკავშირებული პროცედურები. საჭიროების შემთხვევაში, დირექტორის მიერ ხდება უფლება-მოვალეობების დელეგირება გონივრულ ფარგლებში. თითოეული თანამშრომელი მნიშვნელოვან როლს ასრულებს სასკოლო ცხოვრებაში მათი შესაძლებლობისა და გამოცდილების მაქსიმალურად გამოყენებით. ამიტომ, სკოლისთვის მნიშვნელოვანი აქტივობების შესრულებისას ხდება საჭიროების იდენტიფიცირება, შემდეგ უფლება-მოვალეობების გადანაწილება ვალდებულებისა და გამოცდილების საფუძველზე. საჭიროებაზე დაფუძნებით, კათედრის/ების შეხვედრებზე ხდება ძირითადი ფუნქციებისა და მოვალეობების მიმოხილვა და გადანაწილება. სკოლას აქვს 2025 წლის 16 მაისის N 2-14 ბრძანებით დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.სკოლის ერთ-ერთი ამოცანაა კვალიფიციური კადრების მოზიდვა. ვაკანტური ადგილების შესავსებად მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლის პერსონალის, კადრების მოზიდვისა და დასაქმების მიზნით, განსაზღვრულია საკონკურსო კომისია, რომელიც უზრუნველყოფს პროცედურების ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვას. ღია კონკურსის წესით, სკოლის საჭიროების გათვალისწინებით, ვაკანსია გამოქვეყნდება მასწავლებლების ვაკანსიის ვებ-გვერდზე (teachers.job.ge). პერსონალის შერჩევა ხდება წინასწარ შერჩეული კრიტერიუმების შესაბამისად. სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა დოკუმენტაცია საკონკურსო კომისიის ბრძანებები, ოქმები სპეციალური მასწავლებლის ვაკანტური საათებისა და ჩვენი საქართველოს მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად გამოცხადებული კონკურსთან დაკავშირებით, რომლებიც სრულად შეესაბამება კანონმდებლობას. სკოლა სრულად იცავს 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დამტკიცებისა და შეწყვეტის წესის“ მოთხოვნებს. სკოლის ინფორმაციით, გამოცხადებული ვაკანსიის დროს პრიორიტეტი ენიჭება იმ კანდიდატებს, რომლებიც მუდმივად ზრუნავენ პროფესიული განვითარებისთვის.
ადგილზე ვიზიტისას დადასტურდა, რომ მასწავლებლების პირად საქმეებში განთავსებულია კვალიფიკაციისა და სტატუსების მინიჭების შესახებ დოკუმენტაცია. ცნობები ნასამართლეობის შესახებ, სქესობრივ დანაშაულზე ნასამართლობის შესახებ და ცნობა უფლების ჩამორთმევის შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლამ წარმოადგინა თანამშრომელთა პირადი საქმეები. როგორც გაირკვა, სკოლაში დასაქმებული პირები აკმაყოფილებენ დაკავებულ თანამდებობებს. სკოლის მართვის საინფორმაციო სისტემიდან პორტირებული მონაცემების საფუძველზე დადასტურდა, რომ ვიზიტის პერიოდში სკოლაში დასაქმებულ ყველა მასწავლებელს, გარდა შერწყმული, ეგიარზენის დაწყებითი სკოლის ხელოვნების მასწავლებლისა, მინიჭებული აქვს შესაბამისი სტატუსი. აღსანიშნავია, რომ სკოლა ყოველწლიურად აცხადებს ვაკანსიას ხელოვნების მასწავლებლის პოზიციაზე ამ სკოლისთვის, მაგრამ მსურველი არ გამოჩენილა, ამიტომ სკოლა იძულებულია დროებით ეს საათები მისცეს დაწყებითი კლასების მასწავლებელს. დანარჩენი მასწავლებლების კვალიფაკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას, ასევე შესაბამისობაშია დაკავებულ პოზიციასთან ექიმის კვალიფიკაცია. მასწავლებელთა ხელშეკრულებები მოიცავს ყველა სავალდებულო პუნქტს. სკოლას აქვს 2024 წლის 07 სექტემბრის N 2-20 ბრძანებით დამტკიცებული დებულება დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ. სკოლას ასევე აქვს სკოლის დირექტორის 2024 წლის 6 სექტემბრის N2-19 ბრძანებით დამტკიცებული ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალის შეფასების კრიტერიუმები.

რჩევა: სკოლამ ვაკანსიების გვერდზე მუდმივად განაახლოს გამოქვეყნებული ინფორმაცია ხელოვნების მასწავლებლის ვაკანტური ადგილის შესახებ, ეგიარზენის დაწყებით სკოლაში ხელოვნების მასწავლებლის პოზიციაზე კვალიფიციური კადრის დასაქმებამდე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის განმარტებით, სკოლაში გადაწყვეტილებების მიღების პროცესი არის ობიექტური, მიუკერძოებელი და გამჭვირვალე. გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობას ადასტურებს სკოლაში მოქმედი კოლეგიური ორგანოს პედაგოგიური საბჭოს და კათედრების მუშაობა. კათედრის დებულებით განსაზღვრულია კათედრის ფუნქციები, მათ შორის არის კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება. კათედრების მუშაობა ეფუძნება გუნდური მუშაობის პრინციპს. კათედრის თითოეული წევრი ჩართულია კურიკულუმების შემუშავების პროცესში. ხდება გამოცდილების გაზიარება, ერთად გეგმავენ სხვადასხვა პროექტებს. აქტიურია კათედრებს შორის თანამშრომლობა, რასაც მოწმობს ჩატარებული ინტეგრირებული გაკვეთილები და განხორციელებული პროექტები, რომლთა ნაწილი გამოფენილია სკოლის შენობაში. სკოლამ წარმოადგინა ინტეგრირებული გაკვეთილების გეგმები, რეფლექსიები .

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6.სკოლა ზრუნავს თანამშრომელთა მოტივაციის გაზრდაზე მათი მიღწევების წახალისების გზით, რაც გაწერილია სკოლის შინაგანაწესში. სკოლა პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ იყენებს წახალისების შემდეგი ფორმებს ა)

მადლობის გამოცხადება; ბ) სიგელით დაჯილდოება; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა; სკოლაში არსებობს ასეთი პრაქტიკის არაერთი მაგალითი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. შინაგანაწესი;
2. ბრძანება ვაკანტური ადგილის შესავსებად საკონკურსო კომისიის დამტკიცების შესახებ; ოქმები.
3. დებულება დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესახებ.
4. ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალის შეფასების კრიტერიუმები.
5. ცნობები;
6. ინტეგრირებული გაკვეთილების გეგმები, რეფლექსიები;
7. ინტერვიუ;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პერსონალ განვითარებაზე ზრუნვას, როგორც პროფესიული და კარიერული ზრდის, ასევე სკოლის ბაზაზე ეფექტური თანამშრომლობის, ურთიერთთანამშრომლობის და სკოლის განვითარების დინამიურობის კუთხით. სკოლას აქვს 7 სექტემბრის 2024 წლის N 2-21 ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის მექანიზმი. სკოლაში მასწავლებელთა შეფასების ობიექტური სისტემის დანერგვისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით შექმნილია სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის/მექანიზმის მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც მუშაობას წარმართავს წინასწარ შემუშავებული შეფასების ობიექტური სისტემით. დაკვირვების შედეგად დგინდება მასწავლებელთა საჭიროებები, კონსტრუქციული უკუკავშირით მათ ეძლევათ განვითარების შესაძლებლობა. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მიზნით იყენებენ მასწავლებელთა რეფლექსიებს ჩატარებულ აქტივობებზე, სადაც ნათლადაა წარმოჩენილი მათი საჭიროებები და სწორედ ამ საჭიროებებზე დაყრდნობით იგეგმება აქტივობები პროფესიული განვითარებისთვის.

სკოლამ წარმოადგინა კათედრისა და მასწავლებლის პორტფოლიოები, სადაც არის გაკვეთილებზე დასწრების მასალები შესაბამისი უკუკავშირებით. რაც უზრუნველყოფს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე დაწესებულება გეგმავს და ახორციელებს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; სკოლის დირექცია და კათედრები სისტემატურად აწარმოებენ მასწავლებლის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას, გამოკვეთენ ძლიერ და გასაუმჯობესებელ მიმართულებებს, შემდეგ კი შედეგების ანალიზის საფუძველზე გეგმავენ და შემუშავებული სამოქმედო გეგმით ახორციელებენ მასწავლებელთა მიზნობრივი განვითარების პროცესს. აღნიშნული ზიარდება პერიოდულ შეხვედრებზე, გაიცემა რეკომენდაციები. რაც დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი კათედრის პორტფოლიოებით, სადაც არის გაკვეთილებზე დასწრების მასალები შესაბამისი უკუკავშირებით. სკოლა ხელს უწყობს მასწავლებლებს გაიარონ საჭირო ტრენინგები და სემინარები და

აღნიშნულ აქტივობებზე მიღებული ცოდნა და გამოცდილება დანერგონ პრაქტიკაში. სკოლას ასევე ჰყავს მასწავლებლები, რომლებიც ერთდროულად ასწავლიან ორ სკოლაში. მეორე სკოლაში მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას სკოლის ბაზაზე უზიარებენ კოლეგებს. მასწავლებლებს პორტფოლიოში წარმოდგენილი აქვთ მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფის შეხვედრის ოქმები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა ხელს უწყობს სკოლაში დასაქმებული პირების კარიერულ ზრდას. აორგანიზებს ტრენინგებსა და სამუშაო შეხვედრებს, ხელს უწყობს პედაგოგებს გაიარონ ტრენინგები და აიმაღლონ კვალიფიკაცია და სტატუსი. მასწავლებლის კარიერულ წინსვლას არეგულირებს "მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა" რამდენიმე მასწავლებელმა აიმაღლა სტატუსი. სკოლას აქვს წარდგენის საფუძველზე სტატუსის ამაღლების გამოცდილება. დირექცია უზრუნველყოფს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცხადებული საგნობრივი ტრენინგების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას და მონაწილეობის ხელშეწყობას. პერსონალთა პირად საქმეში წარმოდგენილია სერტიფიკატები. ყველა კათედრას აქვს teams-ის პლატფორმაზე შექმნილი ჯგუფი, სადაც გამოვლენილი ხარვეზის აღმოსაფხვრელად იგეგმება აქტივობები და ვებინარები. სკოლაში მუშაობს „კრიტიკული მეგობრის" ინსტიტუტი. სკოლის პედაგოგები, თუ სხვა პერსონალი აქტიურად მინაწილეობს სხვადასხვა პროგრამისა თუ პროექტის ფარგლებში დაგეგმილ ტრენინგებში, შეხვედრებსა თუ ფოკუს-ჯგუფების სამუშაო პროცესში. აღნიშნული პროცესი სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან წახალისებული და მხარდაჭერილია. დასტურდება სკოლის მასწავლებლების მონაწილეობით USAID -ის "ლიდერი მასწავლებლების საბაზისო განვითარების პროგრამაში". **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლას აქვს ახალი თანამშრომლის ადაპტაციის წესი. ეს გულისხმობს: ა) იმისათვის, რომ სკოლის მიერ შერჩეულმა პირმა შეძლოს საკუთარი ცოდნისა და უნარების სრულად გამოვლენა, მნიშვნელოვანია, რომ მან წარმატებით გაიაროს ორგანიზაციასთან ადაპტაციის პროცესი და გახდეს ორგანიზაციის ღირებული წევრი. ამისთვის, სკოლა ზრუნავს ახალი კადრის ადაპტაციის პროცესზე. ბ) ახალი თანამშრომლის ადაპტაციის ეტაპებია:
1. მოლოდინები - მუშაობის დაწყებამდე ჩამოყალიბებული მოლოდინი და შთაბეჭდილება სკოლის შესახებ; 2. შეხვედრა - სკოლაში მუშაობის პირველი სამი თვე, ფორმალური და არაფორმალური სოციალიზაციის პერიოდი; 3. „ოჯახის წევრობა" - სკოლის/გუნდის სრულუფლებიან წევრად ჩამოყალიბების განცდა. ახალი თანამშრომლის სოციალიზაციისათვის სკოლა ახორციელებს შემდეგ პროცედურებს:
თანამშრომლებთან პირველი შეხვედრის საგანგებო ორგანიზება; 2. პირველ სამუშაო დღეს განსაკუთრებული დახვედრით (მაგალითად, ახალი თანამშრომლის სამუშაო მაგიდის/გარემოს გაფორმება მისასალმებელი სიტყვებით); 3. სკოლის ორგანიზაციული კულტურის, რიტუალების გაცნობა, სკოლის დათვალიერება, 4. თანამშრომლების საკონტაქტო ინფორმაციის მიწოდება.
კათედრის წევრების ერთობლივი ძალისხმევით დგება საგნობრივი კურიკულუმიც. სკოლა ყველანაირად ცდილობს, რომ შექმნას გახსნილი თანამშრომლობაზე აგებული გარემო და ამ გარემოში ადვილად მოხდეს მასწავლებელთა ინტეგრაცია. სკოლაში

თანამშრომლობითი კულტურის დამკვიდრება დასტურდება თანამშრომლებთან გასაუბრებით. სკოლაში ყველა თანამშრომელს თანაბარი შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს სკოლის რესურსით. სკოლაში შექმნილია Teams ის ჯგუფი და Facebook ჩატი, რომელის საშუალებითაც აქტიურად დროულად მიეწოდებათ ყველა საჭირო ინფორმაცია, როგორც პროფესიული განვითარების შესაძლებლობის, ისე სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ. სკოლაში წახალისებულია არაფორმალური ურთიერთობების ინიციატივები, რაც თავის მხრივ ამტკიცებს თანამშრომელთა ჯანსაღ, კოლეგიალურ პარტნიორობას. ფორმალურ საქმიანობაში სკოლის მაღალი თანამშრომლობითი კულტურა იგრძნობოდა ვიზიტის დროს

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. ყველა ინიციატივა, რომელიც შესაძლებლობას აძლევს სკოლის პერსონალს განვითარდეს, წახალისებულია სკოლის მიერ. წახალისების ფორმები გაწერილია შინაგანაწესში. სკოლა პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ იყენებს წახალისების შემდეგი ფორმებს ა) მადლობის გამოცხადება; ბ) სიგელით დაჯილდოება; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა; ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევით, დაკვირვების შედეგად ან ზეპირსიტყვიერად პერსონალის მხრიდან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ახალი თანამშრომლის ადაპტაციის წესი
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი
- შინაგანაწესი;
- კათედრების პორტფოლიო;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- ზეპირი ინტერვიუ;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული და 2024 წლის 7 სექტემბრის N 2-21 ბრძანებით დამტკიცებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის მექანიზმი. დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს სწავლა/სწავლების, სასწავლო გარემოსა და პროცესის ხარისხის მართვას და ადგენს ხარისხის უზრუნველყოფის და განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებებს. დოკუმენტის შექმნის მიზანია სწავლების ხარისხის მონიტორინგი და მათი მუდმივი სრულყოფა, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენება და მათი განვითარებისათვის ხელშეწყობა. სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისა და მუდმივი გაუმჯობესების მიზნით, სკოლა მუდმივად ახორციელებს სასწავლო პროგრამების განხორციელების შეფასების და შემდგომი გაუმჯობესების, ადამიანური რესურსის

პროფესიული განვითარების ხელშეწყობის და სკოლის მატერიალური რესურსების გაუმჯობესებას. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები მოიცავს უწყვეტ ციკლს, რომელიც გულისხმობს: დაგეგმვას, განხორციელებას, შეფასებას, რეკომენდაციების შემუშავებას, ინტერვენციას და მის შედეგებზე დაკვირვებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები (ნაბიჯები და ეტაპები) იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმში
. სკოლის მმართველობითი პროცესებია: ა) სტრატეგიული დაგეგმვა, ბ) წლიური დაგეგმვა, გ) ხარისხის უზრუნველყოფა. სკოლის ძირითადი პროცესებია: ა) კურიკულუმის განვითარება, ბ) სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა. სკოლის დამხმარე პროცესებია: 1. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა, 2. მოსწავლის სერვისების განხორციელება, 3. ფინანსური რესურების მართვა, 4. ადამიანური რესურსების მართვა, 5. მატერილური რესურსების მართვა, 6. უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა, 7. საზოგადოებასთან ურთიერთობა, 8. საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა), 9. კარიერული განვითარება.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.შინაგანაწესით განსაზღვრულია საჩივრის განხილვის წესი, მაგრამ ეს წესი ზოგადია და არ აკონკრეტებს მექანიზმებს და პროცედურებს. აქედან გამომდინარე სკოლამ შეიმუშავა და 2025 წლის 28 მაისის N 2-19 ბრძანებით დაამტკიცა განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში წარდგენილი განცხადების/საჩივრის დარეგისტრირების, განხილვისა და შედეგის დადგენის პროცედურებს. განცხადების/საჩივრის შემოტანა შეუძლია მოსწავლეს, მშობელს, სკოლაში დასაქმებულ პერსონალს ან/და სხვა დაინტერესებულ პირს. დოკუმენტში მკაფიოდ არის გაწერილი პროცესის საფეხურები და წარმოების ვადები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლამ წარმოადგინა სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება, რომლითაც რეგულირებულია სკოლისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ურთიერთვალდებულებები, შინაგანაწესის რამდენიმე მუხლში გვხვდება მშობლის ინფორმირებულობის ვალდებულება. მკაფიოდ არის გაწერილი მხარეთა უფლება-მოვალეობები, მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან ურთიერთობის ფორმა და პრინციპები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი;
- შინაგანაწესი;
- განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი;

- მშობელთან/კანონიერ წარმომადგენლთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- ინტერვიუ;

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირება და სასკოლო საზოგადოებისაგან უკუკავშირის მიღება ხდება მშობლებთან დირექციის შეხვედრებზე, მშობლებთან პერიოდული გასაუბრებით. მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად სკოლა ვალდებულია მიაწოდოს ინფორმაცია მშობელს/წარმომადგენელს მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და გაცდენების შესახებ; მშობლებს შეუძლიათ დამრიგებელთან შეთანხმებით ჩანიშნონ შეხვედრა სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე სასაუბროდ. სადმრიგებლო პროგრამაში გაწერილია დამრიგებლის მოვალეობები. მისი მოვალეობაა მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს გააცნოს მათი უფლებები და მოვალეობები (სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ეთიკის კოდექსი, სასკოლო კურიკულუმის შესაბამისი საკითხები და სხვა). ასევე რეგულარულად მიაწოდოს მშობელს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მიღწევების, დისციპლინის, პიროვნული პრობლემებისა თუ წარმატებების შესახებ. საჭიროების შემთხვევაში შეხვდეს დაინტერესებულ მშობელს და მიაწოდოს მას მოსწავლესთან და სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებული ინფორმაცია. გამოკვეთილი საჭიროებიდან გამომდინარე სკოლა გეგმავს ღონისძიებებს. სკოლაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია საიფორმაციო დაფა, საიდანაც სასკოლო საზოგადოება ეცნობა სიახლეებს. სკოლას ამავე მიზნით აქვს სოციალური ქსელი და Teams-ის პლატფორმაზე საგნობრივი ჯგუფები. სკოლას აქვს ვებგვერდი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.სასკოლო საზოგადოება აქტიურად არის ჩართული კოლეგიალურ ორგანოებში: სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, პედაგოგიური საბჭო. მათი ფუნქციები განსაზღვრულია კანონმდებლობით და დასტურდება ოქმებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

- სკოლის ვებ-გვერდი;
- დამრიგებლის პორტფოლიო;
- მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- სამეურვეო საბჭოს ოქმები;
- პედსაბჭოს ოქმები;
- ინტერვიუ;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული

წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. ***(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის ბალანსზე არის ორი შენობა პირველი მდებარეობს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ლეწურწუმეს თემში და არის 2023-2024 წ. პრემიერის ფონდის მიერ რეაბილიტირებული ორსართულიანი, სასწავლო შენობა,(სარემონტო სამუშაოებს აწარმოებდა „საბაკონტრაქშენი“) სადაც სამივე საფეხურზე მიმდინარეობს სასწავლო პროცესი. მიუხედავად იმისა, რომ სკოლის შენობაში სასწავლო პროცესი განახლდა 2024 წლის ნოემბრში, შენობა არ არის ჩაბარებული შესაბამისი სამსახურის მიერ, არ აქვს აზომვითი ნახაზი, არ აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.

შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების დასადგენად ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან 2025 წლის 6 აგვისტოს სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება N ე-366 და ელოდება შესაბამისი სამსახურის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებასა და დასკვნის მოპოვებას .

სკოლას აქვს სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის, სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტიN 288, რომლის მიხედვითაც დგინდება, რომ სსიპ-ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ლეწურწუმეს თემის საჯარო სკოლის (ს/კ 41.13.33.014) შენობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა არ შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს, რაც სკოლამ გაცემული რეკომენდაციების მიხედვით უნდა გამოასწოროს შესაბამისი სამსახურის მიერ დადგენილ ვადებში.

აღსანიშნავია, რომ სკოლის ტერიტორიაზე არის ამორტიზებული დამხმარე შენობები: ყოფილი სახელოსნო, ტექნიკის სადგომი, საქვაბე და საპირფარეშო, რომელიც შეფასებულია ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ და N5001670825 დასკვნის საფუძველზე საჭიროებს დემონტაჟს. ამასთან დაკავშირებით სკოლამ 2025 წლის 30 აპრილს წერილით

დასახმარებლად მიმართა ქ. ჩხოროწყუს მერსა და საგანმანათლებლო რესურსცენტრს რათა ეშუამდგომლათ შესაბამის სტრუქტურებთან დემონტაჟის განხორციელებაზე ნებართვის მისაღებად. სკოლამ 2025 წლის 12 აგვისტოს N 2-28 ბრძანებით განსაზღვრა ონლაინ აუქციონის გამოცხადების ვადები. გამოცხადდა აუქციონი, მაგრამ არავინ გამოეხმაურა. ამორტიზებული შენობები ხელს უშლის სასწავლო პროცესის უსაფრთხოებას.

სკოლას აქვს მეორე სასწავლო შენობა დაწყებითი სკოლისათვის (I-IV კლ) , რომელიც მდებარეობს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ლეწურწუმეს თემის ეგიარზენის უბანში, სადაც ამჟამად ირიცხება 8 მოსწავლე. სკოლის შენობა შეფასებულია ლევან სამხარაულის სახელობისსასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ და 25.08. 2025 წლის N 5005096225 დასკვნის საფუძველზე, ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია და არსებული სახით ექსპლუატაცია საფრთხის შემცველია. სკოლაში სასწავლო პროცესის გაგრძელება შეუძლებელია. სკოლის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარეობს საბავშვო ბაღის შენობა, რომელსაც აქვს თავისუფალი ფართი, სადაც შესაძლებელია სასწავლო პროცესის წარმართვა. ავტორიზაციის ექსპერტთა სკოლაში ვიზიტის პერიოდში, სკოლას ნებართვის მოსაპოვებლად შესაბამის სტრუქტურებში გაგზავნილი ჰქონდა წერილი და ელოდებოდა პასუხს. უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, სკოლის დირექცია მზად იყო ძირითად შენობაში გამოეყო ფართი ამ მოსწავლეებისათვის და მუნიციპალიტეტის მერიასთან თანამშრომლობით მოსწავლეთა ტრანსპორტირებასაც უზრუნველყოფდა.

სკოლას უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად სკოლის შენობაში დამონტაჟებულია 29 ვიდეო-სათვალთვალო კამერა, მათ შორის გარე და შიდა ხედვის კამერები. სკოლის შენობის დაცვას უზრუნველყოფს დარაჯი. რომელიც ვალდებულია დღის მანძილზე გააკონტროლოს მოსწავლეთა შენობაში შესვლისა და შენობის დატოვების პროცესი. სასწავლო პროცესის დროს უცხო პირების გადაადგილება დაუშვებელია, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა.

სკოლაში, ძირითად სასწავლო კორპუსში არსებული სველი წერტილები სრულად შეესაბამება ჰიგიენურ ნორმებს. სკოლაში ორივე სართულზე არის ადაპტირებული საპირფარეშოები. ეგიარზენის დაწყებით სკოლას აქვს 2 გარე სველი წერტილი.

სკოლას მიეცა რეკომენდაციები:

1.სსიპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სოფელ ლეწურწუმეს ეგიარზენის უბნის (მიერთებული) დაწყებითი სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია და არსებული სახით ექსპლუატაცია საფრთხის შემცველია. სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით, შენობის რეაბილიტაცია 01.10. 2027 წლისთვის.

2. სკოლამ მოიპოვოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა,

უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა , ევაკუაციის გეგმა , რაც გათვალისწინებული აქვს სკოლას შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში.

3. სსიპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სოფელ ლეწურწუმეს საჯარო სკოლის ტერიტორიაზე არის ამორტიზებული დამხმარე შენობები: ყოფილი სახელოსნო, ტექნიკის სადგომი, საქვაბე და საპირფარეშო, რომელიც შეფასებულია ლევან სამხარაულის სახელობისსასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ. არის საფრთხის შემცველი და N5001670825 დასკვნის საფუძველზე საჭიროებს დემონტაჟს. სკოლამ უზრუნველყოს ამორტიზებული შენობების დემონტაჟი შესაბამისობის გეგმაში მითითებულ ვადებში. (01.10.2026წ.)

სკოლას მიეცა რჩევა, შრომის უსაფრთხოების ნორმების დასაცავად, გამოყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

ინდიკატორი ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია

2. სკოლა უზრუნველყოფს პირველადი დახმარების აღმოჩენას. კერძოდ, სკოლას კანონმდებლობის სრული დაცვით დასაქმებული ჰყავს კვალიფიკაციის შესაბამისი ექიმი. შენობის პირველ სართულზე განთავსებულია სათანადო ინვენტარითა და მედიკამენტებით აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი. სამედიცინო კაბინეტში არსებული მედიკამენტები ინახება დაცულ კარადაში შესაბამის პირობებში და მასთან წვდომა აქვს მხოლოდ ექიმს. სკოლას აქვს სკოლის დირექტორის 2025 წლის 28 მაისის N 2-18 ბრძანებით დამტკიცებული სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი. სკოლაში ფუნქციონირებს კანონმდებლობის დაცვით შექმნილი უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭო, ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა ოქმები. სკოლა მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აწვდის სსიპ -„112“ -ის ცხელი ხაზის ნომრის და აღნიშნული უწყების ფუნქციებისა და მნიშვნელობის შესახებ ინფორმაციას.
სკოლას არ ჰქონდა შირმა ექიმის ოთახისათვის, ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის შემდეგ შეიძინა და არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად გამოაგზავნა შესაბამისი მტკიცებულება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლას ჰყავს ბრძანებით განსაზღვრული უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც ახდენს დარღვევების იდენტიფიცირებას და უზრუნველყოფენ სკოლაში საზოგადოებრივ წესრიგის დაცვას, ამ

საქმეში მათ ეხმარებიან მორიგეები, სკოლის დარაჯი, რომლებიც განაწილებული არიან სკოლის შესასვლელში და დერეფნებში. გამოვლენილი დარღვევები რეგისტრირდება სკოლის დარღვევების ჟურნალში და სკოლა თავის მხრივ ახდენს მათზე ადეკვატურ რეაგირებას. სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელიც არეგულირებს სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლაში შექმნილია მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემო, კეთილგანწყობილი, ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული ურთიერთობები განაპირობებს მოსწავლეთა ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე ზრუნვას. დამრიგებლები იკვლევენ მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს, მათ შესწავლილი აქვთ თითოეული მოსწავლის სოციალურ-ეკონომიური სტატუსი, აქვთ მუდმივი კომუნიკაცია, როგორც ადმინისტრაციასთან ასევე მშობლებთან. ცვლიან ინფორმაციას მოსწავლის ქცევისა და ემოციური მდგომარეობის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში მიმართავენ წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილ პირს, იმ შემთხვევაში თუ უფლებამოსილი პირის შესაძლებლობებს აღემატება გამოწვევა, მიმართავენ შესაბამის სამსახურს, რათა მოსწავლემ მიიღოს ფსიქოლოგის მომსახურება.
სკოლას არ ჰყავს ფსიქოლოგი, თუმცა სკოლის სადამრიგებლო პროგრამით წარმოდგენილია კლასის საათის თემები, რომლებიც მიმართულია ემოციური და სოციალური უნარების განვითარებაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სანიტარული ნორმების დაცვას უზრუნველყოფენ დამლაგებლები, რომლებიც უზრუნველყოფენ დაწესებულების შიდა და გარე ფართის მოწესრიგებას. სანიტარიული კვანძის დასუფთავებისათვის განკუთვნილი ინვენტარის შესანახად გამოყოფილია ცალკე ოთახი. ასევე, საყოფაცხოვრებო ქიმიური და სადეზინფექციო საშუალებები, ინახება სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ ოთახში. ველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ყველა ველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით. სკოლას მუდმივად მარაგდება წყლით და ყველა ჰიგიენური საშუალებით. ასევე თითოეულ კლასში მოსწავლეების მიერ შემუშავებულია ქცევის წესები, რომლის შემადგენელი ნაწილიც არის სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლას 2024 წლის 7 სექტემბრის N 2-22 ბრძანებით სკოლას დამტკიცებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმი. სკოლამ 2025 წლის პირველ სექტემბრამდე, შესაბამის ორგანოსთან გააგზავნა პერსონალურ მონაცემთა დაცვის შევსებული ფორმა. სკოლას ჰყავს პერსონალური მონაცემების დაცვის ოფიცერი- ქ, ჩხოროწყუს რესურსცენტრის წარმომადგენელი, რომლის დახმარებითაც სკოლა უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

7.პერსონალურ მონაცემთა დაცვა უზრუნველყოფილია სკოლაში მოქმედი ელექტრონული სისტემების მეშვეობით, როგორიცაა: ელექტრონული ჟურნალი, სადაც გარანტირებულია მოსწავლის მონაცემების დაცვა. ჟურნალის მეშვეობით მუშავდება მოსწავლეთა

მონაცემები, კერძოდ: სახელი, გვარი, პირადი ნომერი, შეფასება, დასწრება, საგნის ჯგუფები და განრიგი. ელექტრონული ჟურნალი არის სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციოს სიტემის ორგანიზებით შექმნილი პლატფორმა, სადაც ელექტრონულად აღირიცხება მოსწავლეთა დასწრებები და შეფასებები. სწავლების პროცესში, ელექტრონულ ჟურნალში დამუშავებულ მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემებზე, ინდივიდუალური მომხმარებლისა და პაროლის გამოყენებით წვდომა აქვთ: სკოლის დირექტორს, დამრიგებელს, საგნის მასწავლებლებს , საქმისმწარმოებელს. მანდატურები უზრუნველყოფენ მონაცემების დაცვას ვიდეო თვალთვალის განხორციელებისას სკოლაში. ვიდეომონიტორინგის შედეგად მიღებული ჩანაწერები 30 დღის განმავლობაში ინახება. ჩანაწერის ნახვა შეუძლია სკოლის დირექციას, დისციპლინურ კომიტეტს, მრჩეველთა საბჭოს. ასევე, სამართალდამცავ ორგანოებს – საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. კანონიერ წარმომადგენელს საჭიროების შემთხვევაში, შეუძლია ადგილზე გაეცნოს პერსონალური მონაცემების დაცვით. ასევე ხდება მონაცემების დაცვა მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმის წარმოებისას ზოგადსაგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანი მართვის მიზნით, სკოლა ახორციელებს მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმეების წარმოებას. პირადი საქმე ინახება სკოლაში დაცულ ადგილას. პირადი საქმის შენახვასა და დაცვაზე პასუხისმგებელი პირია სკოლის საქმისმწარმოებელი. მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირად საქმეებზე წვდომის უფლებამოსილება აქვთ მხოლოდ უფლებამოსილ პირებს: სკოლის დირექტორს, საქმისმწარმოებლს და შესაბამისი კლასის დამრიგებელს (მხოლოდ მისი სადამრიგებლო კლასის მოსწავლეთა პირად საქმეებზე). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

8.სკოლის მრჩეველთა საბჭო აფასებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოებას, რომელიც ანგარიშის სახით აჯამებს და აანალიზებს შედეგებს, რასაც გამოიყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დადასტურება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- წერილები, შესაბამის უწყებებთან;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- დამრიგებლის პორტფოლიო;
- სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი;
- ვიზუალური დათვალიერება;
- ინტერვიუ

შეფასება:

◦ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.საჯარო რეესტრის ამონაწერით სსიპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ლეწურწუმეს თემის საჯარო სკოლის ძირითადი შენობის მიწის ნაკვეთის(ს/კ 461337141) დაზუსტებული ფართობი არის 6167.00 **კვ.მ, ხოლო მეორე (ს/კ 461338260)მიწის ნაკვეთის ფართობია 2537 კვ.მ** შესაბამისი მიწის ფართები სახელმწიფო საკუთრებაა და სკოლას გადაეცა უვადოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით. ძირითადი სასწავლო კორპუსის შენობა ორსართულიანია. დაწყებითი სკოლის შენობა არის ერთსართულიანი. სასწავლო პროცესი ერთ ცვლაში

მიმდინარეობს. ამ ეტაპისთვის E-school-ის მონაცემებით სკოლაში სწავლობს 56 მოსწავლე. საკლასო ოთახები აღჭურვილია მოსწავლეთა რაოდენობის და საფეხურის შესაბამისი მერხებით, სკამებით, მასწავლებლის მაგიდით, სკამით, დაფითა და კარადით. კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი კომისიის მიერ ყოველწლიურად ტარდება ფინანსური და მატერიალური რესურსების ინვენტარიზაცია. სკოლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია მატერიალური რესურსების შესაძენად საჭირო თანხა. ამჟამად სკოლას აქვს 8 პერსონალური და 27 პორტაბელური კომპიუტერი, 2 პრინტერი და 5 პროექტორი. შესაბამისი ტექნიკა ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლის პირველი სასწავლო კორპუსი სრულად ადაპტირებულია პანდუსებით, სველი წერტილებითა და ლიფტით. დაწყებითი სკოლის შენობა არის სრულად სარეაბილიტაციო. სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, არის მხოლოდ ოთახი სავინტილაციო სისტემითა და სველი წერტილებით, დამხმარე ოთახითა და ავეჯით, მცირე რესურსით სტემ პროექტებისთვის, ARDUINO UNO -ს სამი კომპლექტი. სკოლის ძირითადი კორპუსის რეაბილიტაციის დროს გათვალისწინებული იყო სკოლისთვის ლაბორატორიის გადაცემა, თუმცა ეს ჯერაც ვერ მოხერხდა. სკოლამ საბუნებისმეტყველო ლაბორატორიით აღჭურვის მიზნით N MES 2250000573285 წერილით მიმართა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს, თუმცა მიღებული საპასუხო წერილის (N MES6250000592134) თანახმად, ამ ეტაპზე სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს საჯარო სკოლის თხოვნა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიით აღჭურვასთან დაკავშირებით.

სასკოლო ინვენტარის ნაწილი სკოლას არ აქვს აყვანილი ბალანსზე ასევე არ აქვს მინიჭევული ინვენტარიზაციის ნომერი მატერიალურ თუ ტექნიკურ რესურსს.

სკოლას მიეცა **რეკომენდაციები:**

1.სკოლამ შეიძინოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებული რესურსი STEAM ლაბორატორიისთვის შესაბამისობის გეგმაში მითითებულ ვადებში.(01.10.2026)

2.სკოლამ ბალანსზე აიყვანოს ყველა რესურსი, მატერიალურ და ტექნიკურ რესურსს მიანიჭოს შესაბამისი ნომერი. შესაბამისობის გეგმაში გათვალისწინებულ ვადებში.

ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებული

2.სკოლის შენობა ახლადრეაბილიტირებულია. საკლასო ოთახები აღჭურვილია საჭირო რაოდენობის მერხებით, დაფებით. საკლასო ოთახებს აქვს ბუნებრივი განათება. სკოლაში არის ბიბლიოთეკა, რომელიც მოიცავს სასკოლო სახელმძღვანელოებს, თანამედროვე, ილუსტრირებულ, მხატვრულ ლიტერატურას, არის ასევე შემეცნებით, სამეცნიერო, ლიტერატურაც .საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისთვის განკუთვნილ ოთახში არის სველი წერტილები და კომპიუტერული ლაბორატორიაში არის 27 პორტაბელური კომპიურერი. სკოლას აქვს ასევე 8 პერსონალური კომპიუტერი. დაწყებითი საფეხურის ყველა დამრიგებელს აქვს ლეპტოპი, რომლებიც ჩართულია ინტერნეტქსელში. მასწავლებლები იყენებენ პროექტორს. სკოლას აქვს გარე სპორტული მოედანი, სამედიცინო კაბინეტი, სკოლას არ აქვს სპორტული და სააქტო დარბაზები, მაგრამ აქვს შიდა სივრცეები, რომლებსაც იყენებს სხვადასხვა კულტურული ღონისძიებებისთვის.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სკოლის მატერიალური რესურსი აკმაყოფილებს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ბიბლიოთეკაში ფუნქციონირებს **ბიბლიოთეკის მუშაობის წესი.** ბიბლიოთეკაში არის გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები, ასევე დამატებითი საგანმანათლებლო რესურსები სასწავლო შემეცნებითი წიგნების/რუკების სახით. როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე მეთოდური ელ. ლიტერატურა მასწავლებლებისთვის. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი ნაწილობრივ განახლებულია. ოთახში გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. არსებობს წიგნების გაცემისა და აღწერის წიგნი.

სკოლის დირექტორის 2025 წლის 30 მაისის N2-22 ბრძანებაში, ბიბლიოთეკის მუშაობის წესის (დებულების) დამტკიცების შესახებ. სათაურში მოცემული თემა არ შეესაბამებოდა შინაარსს, სკოლამ გამოასწორა ამასთან დაკავშირებით დასკვნის პროექტში შეტანილი ხარვეზი და არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა გასწორებული დოკუმენტი 2-22 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4.სკოლის პირველი, ძირითადი კორპუსის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლისათვის ინკლუზიურ გარემოს. სკოლას აქვს მატერიალური რესურსებით აღჭურვილი რესურსოთახი. სკოლის შესასვლელები ადაპტირებულია. აქვს პირველ სართულზე შესასვლელი პანდუსი შესაბამისი მოაჯირით. სკოლას შენობას აქვს ადაპტირებული სველი წერტილები და ლიფტი. სკოლა ინკლუზიურია და სსსმ მოსწავლეებისთვის შექმნილია შესაბამისი გარემო. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. სკოლას მნიშვნელოვნად მიაჩნია მოსწავლეებისათვის სკოლაში იყოს სოციალიზაციისათვის შესაფერისი გარემო და ინფრასტრუტურა, რომელიც მოემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლა ახლად რეაბილიტირებულია . 2024 წლის ნოემბერში განახლდა სასწავლო პროცესი სკოლაში. საკლასო სივრცეებში ნაწილობრივ მაინც არის გამოკრული მოსწავლეთა ხელით შექმნილი რესურსები, საკლასო/სასკოლო პროექტების ამსახველი მასალები და მოსწავლეების ხელით შექმნილი სხვადასხვა სახის

თვალსაჩინოებები. სპორტული შეჯიბრებებისა და პრეზენტაციებისათვის სკოლა იყენებს გარე სპორტულ მოედანსა და შიდა სივრცეებს. ღონისძიებები ასახულია სოციალურ ქსელ facebook-ის გვერდზე. სკოლის მატერიალური რესურსი აკმაყოფილებს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ბიბლიოთეკაში არის გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები, ასევე დამატებითი საგანმანათლებლო რესურსები სასწავლო შემეცნებითი წიგნების/რუკების სახით. კომპიუტერულ ლაბორატორიაში არის შესაბამისი ტექნიკა. დაწყებითი საფეხურის ყველა დამრიგებელს აქვს კომპიუტერი, რომლებიც ჩართულია ინტერნეტქსელში. მასწავლებლები იყენებენ პროექტორს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბიბლიოთეკის მუშაობის წესი
- facebook -ის გვერდი
- ინევენტარიზაციის კომისიის ბრძანება;
- ინვენტარიზაციის ოქმი;
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- ვიზუალური დათვალიერება;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს, რომელიც საშუალებას აძლევს მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს ჰქონდეთ ინფორმაცია მოსწავლეების გაცდენა/დასწრების, ნიშნების, კომენტარების, დავალებების, საბოლოო საშუალო ქულების, რეიტინგების, ნიშნების ფურცლისა და სხვა ტიპის რეპორტების შესახებ. სკოლას აქვს კომპიუტერული ტექნიკა. კომპიუტერები, პროექტორი, პრინტერები, რომლებიც გამოიყენება სასწავლო პროცესში. სკოლას აქვს ვებგვერდი, და facebook გვერდი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.წარმოდგენილი კურიკულუმებით ჩანს, რომ მასწავლებლები სასწავლო პროცესში საკმაოდ ხშირად იყენებენ ციფრულ რესურსებს.

სკოლაში არსებულ ლეპტოპებს აქტიურად იყენებენ მოსწავლეებიც. სკოლაში მოსწავლეებისა და პერსონალისთვის

მუდმივად ხელმისაწვდომია პროექტორი- პრეზენტაციის, ფილმებისა და ელექტრონული რესურსების სასწავლო პროცესში გამოყენებისას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმები

ტექნიკური საშუალებები

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; ***(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)***
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. ***(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების ერთიანი წესი, რომელიც შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით და ადგენს ერთიან მოთხოვნებს სკოლის მმართველობით საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტბრუნვის, დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზების, დოკუმენტების შემდგომი შენახვისა და გამოყენებისათვის მოსამზადებლად. საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი, რომლის მოვალეობები რეგულირდება შრომითი ხელშეკრულებით. საჯარო სკოლაში საქმისწარმოების წესს არეგულირებს ბრძანება (N 2- 21. 28 მაისი 2025წ.) **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლა იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას eflow-ს. საქმისმწარმოებელი ელექტრონულად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, ახორციელებს მოსწავლეების ჩარიცხვა-ამორიცხვას, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვას, გასცემს დოკუმენტაციის დამოწმებული ასლს, ასევე უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას, იღებს შემოსულ კორესპონდენციას, უზრუნველყოფს შემოსული კორესპოდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას და სხვა. ბრძანების ფორმა შეესაბამება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავის 52-ე მუხლს. სკოლას აქვს სარეგისტრაციო ჟურნალები: საკადრო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი, საერთო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი და შრომითი ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალი. ჟურნალები დანომრილი, აკინძული, ბეჭედდასმული და ხელმოწერილია უფლებამოსილი პირის მიერ. საქმისმწარმოებელი პასუხისმგებელია თანამშრომელთა პირადი საქმეების მოწესრიგებაზე, აკონტროლებს მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოებას, პასუხისმგებელია დირექტორის ბრძანებების დაინტერესებულ პირთათვის გაცნობაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლას სრულად აქვს ასახული ინფორმაცია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.(eSchool.emis.ge), ასახულია თანამშრომელთა, მშობელთა და მოსწავლეთა მონაცემები, მოსწავლეთა მობილობა/სტატუსის ცვლილება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4.სკოლის საქმისმწარმოებელი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან დროულ კომუნიკაციას. ვადების და პროცედურების დაცვით ხდება ანგარიშების წარდგენა შესაბამის სტრუქტურებთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი;
- სკოლის მიერ შედგენილი და დამტკიცებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები;
- საქმისმწარმოებლის ხელშეკრულება;
- სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
- ვიზუალური დათვალიერება;
- ინტერვიუ;

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; ***(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)***
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას აქვს ვებ-გვერდი. სასკოლო ცხოვრების ამსახველი მასალების გასავრცელებლად სკოლა იყენებს სოციალურ ქსელს, სოციალურ ქსელში შექმნილია სხვადასხვა დახურული ჯგუფები, რომლის საშუალებით ჯგუფის წევრებს მიეწოდებათ სხვადასხვა სახის ინფორმაცია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.სკოლას აქვს როგორც სამართლებრივი, ისე მორალური ვალდებულება გაავრცელოს მხოლოდ და მხოლოდ გადამოწმებული, სანდო და უტყუარი ინფორმაცია სკოლაში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ; შესაბამისად, ყველა ინფორმაცია, რაც მიეწოდება მოსწავლეთა მშობლებს, ქვეყნდება საინფორმაციო დაფაზე ან/და სოციალური ქსელის ოფიციალურ კედელზე, შეთანხმებული, შეჯერებული და ნებადართულია სკოლის ადმინისტრაციის მიერ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3 საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, სკოლა პერიოდულად ატარებს გამოკითხვას, რომელიც ანონიმურია და მიღებულ უკუკავშირზე დაყრდნობით ამოწმებს რამდენად ხარისხიანად მიმდინარეობს სწავლა-სწავლების პროცესი. დაწესებულია მშობელთა ვიზიტის დღე. მოსწავლეებს, მშობლებს, ადგილობრივ თემს შესაძლებლობა აქვს სკოლის განვითარებისა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესების შესახებ ინიციატივები მიაწოდოს ხელმძღვანელობას. ინიციატივებს განიხილავს სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობა სკოლის დირექციასთან ერთად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლას აქვს ვებ გვერდი და ფეისბუქ გვერდი, სადაც ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე. სკოლა სწავლებას ახორციელებს ქართულ ენაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.სკოლას აქვს ვებ გვერდი, სადაც სრულყოფილად არ არის ატვირთული აუცილებელი საჯარო ინფორმაცია .

სკოლას მიეცა რჩევა ვებ გვერდზე სრულყოფილად ატვირთოს სავალდებულო დოკუმენტაცია

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სოციალური ქსელი;
- სკოლის ვებგვერდი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ფინანსდება ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ვაუჩერის მიხედვით. ამას გარდა, სკოლას ერიცხება მასწავლებელთა სტატუსის დანამატი, უფლებამოსილი პირის სარგო, სსსმ მოსწავლეების სახსრები(1 სსსმ მოსწავლე ჰყავთ). ბიუჯეტის დიდი ნაწილი თანამშრომელთა ხელფასებს ხმარდება. სკოლა შეძლებისდაგვარად ქმნის პირობებს სასწავლო პროცესების ნორმალურად წარმართვისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლის 2025 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ. 2025 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა შედგენილია ამავე წლის ბიუჯეტის გათვალისწინებით და დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2024 წლის 18 ნოემბრის N 2-29 ინდ.ადმ.სამართლებრივი აქტით. (ბრძანებაში არის ტექნიკური ხარვეზი. კერძოდ, 2025 წლის ნაცვლად მითითებულია 2024 წელი.) შესყიდვების გეგმაში

ცვლილება ხორციელდება დადგენილი წესის მიხედვით. სკოლას განსაზღვრული ჰყავს ბაზრის კვლევაზე პასუხისმგებელი პირი(ბუღალტერი). ყოველი კალენდარული წლის დეკემბერში სკოლის დირექტორი ანგარიშს აბარებს სამეურვეო საბჭოს ბიუჯეტის თანხების ხარჯვასთან დაკავშირებით.

სკოლას მიეცა რჩევა : სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ, 2024 წლის 18 ნოემბრის N 2-29 ბრძანებაში, სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ, შეიტანოს ცვლილება ტექნიკური ხარვეზის გამოსწორებასთან დაკავშირებით

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვეო საბჭოს ოქმი;
- საპროგნოზო ბიუჯეტი;
- სკოლის 2025 წლის ბიუჯეტი
- 2024 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა(ბრძანება და დანართი)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

1.სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა; წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ დაწესებულების პერსონალი მუშაობს მოსწავლეების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად. სსიპ ქალაქ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ლეწურწუმეს თემის საჯარო სკოლის მოსწავლეების უფლებებთან და კანონიერ ინტერესებთან დაკავშირებული პროცედურები გაწერილია 2024-2025 წლის სასწავლო გეგმასა და შინაგანაწესში სკოლის შინაგანაწესში ცაკლე მუხლებადაა გამოყოფილი: მოსწავლეების წახალისების ფორმები და გამოყენების წესი; მოსწავლის დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები; მოსწავლეთა მიმართ დისციპლინური წარმოების წესი; სკოლის მიერ განხორციელებული მოსწავლეების მიერ სტატუსის მოპოვების, შეჩერების და შეწყვეტის ქმედებები არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. სკოლის 2024-2025 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია მოსწავლეთა უფლებები და ვალდებულებები. კერძოდ, მოსწავლეს უფლება აქვს მიიღოს ხარისხიანი განათლება, ისარგებლოს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საინფორმაციო საშუალებებით, ბიბლიოთეკით და სხვა სასწავლო და საგანმანათლებლო რესურსებით. მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება არეგულირებს, როგორც მშობლის, ასევე მოსწავლის უფლება-მოვალეობებს. სადამრიგებლო პროგრამის თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს შემდეგ დოკუმენტაციას: სკოლის შინაგანაწესი; მოსწავლის ქცევის კოდექსი; გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოების ნუსხა; სკოლაში არსებული მოსწავლეთა ზოგადი შეფასების სისტემა; სკოლაში დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობების შესახებ ინფორმაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.სადამრიგებლო პროგრამის თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს. ასევე მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება ეხება შინაგანაწესის გაცნობას, რომელიც დასტურდება ხელისმოწერით. კლასის დამრიგებლები სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეთა ჩართულობით შეიმუშავებენ მოსწავლეთა ქცევის წესებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. მოსწავლესთან / მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს შემდეგ პუნქტებს: ხელშეკრულების თარიღი, ხელშეკრულების მხარეთა მონაცემები, ხელშეკრულების საგანი, სკოლის საქმიანობა, მხარეთა უფლება-მოვალეობები, სასწავლო დრო, დასვენების დრო, უქმე დღეები, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი, დავების გადაწყვეტა და მისი მარეგულირებელი კანონმდებლობა, დამატებითი პირობები, მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი
- მოსწავლესთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება
- 2024-2025 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- კურიკულუმი
- ვიზუალური დათვალიერება
- ინტერვიუ

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; ***(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)***
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს 2024 წლის 26 აგვისტოს N2-15 ბრძანებით განსაზღვრული მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, კლასიდან კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერებისა ან/და შეწყვეტის წესი. მოსწავლეთა ჩარიცხვის დოკუმენტაციის გადამოწმებას ახორციელებს სკოლის საქმისმწარმოებლი მოსწავლის მობილობის შესახებ მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის

განცხადების საფუძველზე იწყება საქმისწარმოება. კლასის დამრიგებლები ახორციელებენ მოსწავლეთა გაცდენების მონიტორინგს, 10 / 20 /45 დღე უწყვეტად გაცდენის შემთხვევაში დამრიგებლის სამსახურეობრივი ბარათის საფუძველზე მიმართავს დირექტორს სტატუსის შეჩერების /შეწყვეტის შესახებ.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. მართვის საინფორმაციო სისტემის Eschool.emis.ge -ს დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლა სთავაზობს მეოთხე კლასის მოსწავლეებსა და მათ მშობლებს არჩევანს მომავალი სასწავლო წლისთვის მეორე სავალდებულო უცხოური ენის ასარჩევად. ასევე საშუალო საფეხურზე მოსწავლეები თავად აკეთებენ არჩევანს არჩევითი საგნების ჩამონათვალიდან. ამ მიზნით მშობელთა კრებებზე ან სოციალურ ქსელებში დამრიგებლები ატარებენ გამოკითხვას. ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება მოსწავლეს, არის საჯარო და ხელმისაწვდომი. სკოლაში მოქმედებს მოსწავლის ჩარიცხვისა და კვალიფიკაციის მინიჭების გამჭვირვალე და ვალიდური მექანიზმები. კერძოდ, კლასიდან კლასში გადაყვანა, საფეხურის დაძლევა და ა. შ **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ, რომელიც დაკავშირებულია სკოლასთან, ხელმისაწვდომია სკოლის ტერიტორიაზე და ინტერნეტ სივრცეში, არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. გავრცელებული ყველა ტიპის ინფორმაცია გადამოწმებულია. სკოლის სახელით გავრცელებული ყველა ინფორმაცია ეყრდნობა ეთიკის, გამჭვირვალობის და არადისკრიმინაციულობის ძირითად პრინციპებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სოციალური ქსელი;
- E-school-ის ბაზა;
- სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, კლასიდან კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერებისა ან/და შეწყვეტის, წესი

- ვიზუალური დათვალიერება;
- ინტერვიუ.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; ***(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)***
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის წესი (ბრძანება N2-14; 16 მაისი, 2025 წელი) სკოლა ხელს უწყობს ყველა მოსწავლეს, ადაპტაციაში დახმარება ხდება ყველა ახალი მოსწავლის, მაგალითად - პირველ კლასში ჩარიცხული მოსწავლის მშობელს სწავლის დაწყებამდე უკავშირდება კლასის დამრიგებელი და ეცნობა საჭიროების შემთხვევაში, თუ ის სსსმ მოსწავლეა. ასევე დირექციის დახმარებით ეცნობიან სკოლის გარემოს: საკლასო ოთახს, რესურს ოთახს, სკოლაში არსებულ სველ წერტილებს. სსსმ მოსწავლის თანაკლასელების ინფორმირების მიზნით, ცნობიერების ასამაღლებლად ტარდება შეხვედრები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.სკოლა ხელს უწყობს მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციას, აღჭურვილია ასაკის შესაბამისი ავეჯით, ასევე სკოლაში ფუნქციონირებს რესურს ოთახი, სადაც მოსწავლეებისთვის არის დამატებითი დიდაქტიკური, სასწავლო რესურსები. ასევე, რესურსოთახი გამოიყენება მათი განტვირთვისა და დასვენების მიზნით. რესურს ოთახში სკოლა პერიოდულად აახლებს მოსწავლის საჭიროებებზე მორგებულ რესურსებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს სწავლის უსაფრთხო პირობებით, მიიღოს ხარისხიანი განათლება, სასწავლო პროგრამისა და კარიერული განვითარებისთვის საჭირო ინფორმაცია/კონსულტაცია, ისარგებლოს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ბიბლიოთეკით, ინტერნეტითა და სხვა საშუალებებით. აღნიშნული პროცესები რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით, ასევე სასკოლო სასწავლო გეგმით/ კურიკულუმით. მოსწავლეები იღებენ განმავითარებელ უკუკავშირს და საჭირო ინტერვენციას. სკოლაში კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფეროა. პედაგოგები თანამშრომლობენ სწავლებისა და კლასის მართვის სტრატეგიების გაუმჯობესების მიზნით, აანალიზებენ მონაცემებს და ცდილობენ ერთობლივად მიაგნონ გაუმჯობესების გზებს. დაგეგმილი ღონისძიებები და პროექტები მოსწავლეთა შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენას უწყობს ხელს. სკოლა მყისიერად რეაგირებს გამოთხოვილ დოკუმენტაციაზე. კლასის დამრიგებლები დროულად აწვდიან მშობლებს ნიშნების ფურცლებს და და ზოგად ფსიქო-ემოციურ დახასიათებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლა მოსწავლეს დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. სასკოლო სასწავლო გეგმით წინასწარ განსაზღვრულია სკოლაში წლიური, სემესტრული ექსტერნისა და საშემოდგომო გამოცდების ჩატარების წესები და პირობები, ასევე მობილობის შეწყვეტის და განახლების ვადების, ექსტერნატის წესი კლასის/კლასების დაძლევის წესები. სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობას წლის დასაწყისში უზრუნველყოფს დამრიგებელი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5.კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით სკოლა მხარს უჭერს დამატებითი/არაფორმალურ აქტივობებს და მოსწავლეთა ინიციატივებს.

სკოლაში იგრძნობა მოსწავლეთა თვითმმართველობის აქტიური და ნაყოფიერი მუშაობა. მიუხედავად იმისა, რომ საბაზო და საშუალო საფეხურზე კლასებში სულ 20 მოსწავლეა, ნანახი მასალებით(პროექტები, ვიდეომასალა, ფოტოები) გაირკვა, რომ მოზარდები არიან აქტიურები და ინიციატივიანები.

მოსწავლეთა ინიციატივითა და ჩართულობით ხორციელდება უამრავი პროექტი: ერთ-ერთი გამორჩეულია **ციფრული მემკვიდრეობის პროექტი** მოსწავლეების ინიციატივითა და ძალისხმევით შეიქმნა მშობლიური თემის ელექტრონული გვერდი, სადაც თავმოყრილია: სოფლის თვალსაჩინოებები, ლამაზი და საინტერესო ადგილები, ადგილობრივი ამბები და ისტორიები, ცნობილი ადამიანების ბიოგრაფიები.

საშუალო საფეხურის მოსწავლეებმა სკოლის ექიმთან, ბიბლიოთეკართან და დამრიგებლებთან ერთად განახორციელეს პროექტი „სუფთა გარემო“, რომელშიაც ჩართული იყო თემიც. სკოლაში მიმდინარეობს საკლუბო მუშაობა. სკოლამ წარმოადგინა კლუბ “CINEMA+” -ის წესდება. კლუბის მთავარი მიზანია მოზარდებში კინოხელოვნების პოპულარიზაცია; კინოფილმების მეშვეობით სხვადასხვა საგნობრივი ცოდნის გაღრმავება, მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების, კრიტიკული აზროვნებისა და პრობლემების გადაჭრის უნარების განვითარება.

აქტიურად მუშაობს სამოქალაქო განათლების კლუბი „გარგანჩია“ . მისი მიზანია ახალგაზრდების, როგორც აქტიური მოქალაქეების გაძლიერება, მათი მონაწილეობა დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის პროცესში.

მოსწავლეთა თვითმმართველობის აქტივობით შეიქმნა სკოლის გერბი, რომელიც ასახავს დაწესებულების ღირებულებებსა და ტრადიციებს(გადაშლილი წიგნი-განათლებას, ცოდნას აღნიშნავს, ხელის მტევნები -მზრუნველ, კეთილგანწყობილ, ინკლუზიურ გარემოს ხოლო ანთებული კელაპტარი(მეგრულად წურწუმი) -სოფლის სახელწოდებას შეესაბამება. გერბზეა ლათინური წარწერა - „ცოდნა თავისუფლებაა“

ამ ეტაპზე მოსწავლეთა თვითმმართველობა მუშაობს სკოლის შინაგანაწესში ცვლილების შესატან ინიციატივაზე, რომელიც ეხება სასკოლო ფორმების შემოტანას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6.მოსწავლეთა ინიციატივების გასათვალისწინებლად სკოლა მიმართავს სხვადასხვა გზას, ხშირად მართავს შეხვედრას მოსწავლეებთან, ისმენს მათ ინიციატივებს, საჭიროებებს. სკოლა დაინტერესებულია და მუდმივად ითვალისწინებს მოსწავლეთა შეხედულებებს. სურვილებს და ინტერესებს საჭიროებებს სხვადასხვა მომსახურეობების გაწევისას ატარებს როგორც ჯგუფურ ისე ინდივიდუალურ შეხვედრებს, რათა დაადგინოს როგორია მოსწავლეების დამოკიდებულება ამა თუ იმ საკითხისადმი. სკოლა იყენებს ზეპირი გამოკითხვის ფორმებს მოსწავლეთა საჭიროებების დასადგენად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- განხორციელებული პროექტების გეგმები, რეფლექსიები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- შინაგანაწესი;
- კლუბების წესდებები
- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; ***(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)***
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას გააჩნია თანამშრომლობითი კულტურა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. სკოლას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და აქტიურად არის ჩართული უნივერსიტეტის აქტივობებში. სკოლაში ეწყობა შეხვედრები, რომელთა თემები განისაზღვრება მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროების შესაბამისად. ხორციელდება პროექტები. განსაკუთრებით აღსანიშნავია მოსწავლეების მიერ ინიცირებული ეკომოგზაურობა ლუგელას ხეობაში - მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ყველაზე ეკოლოგიურად მნიშვნელოვან ადგილას, სადაც განთავსებულია ჰიდროელექტროსადგური „ხობი 2“. ეკომოგზაურობის ფარგლებში მოსწავლეებმა შეხვდნენ ჰიდროელექტროსადგურის კვალიფიციურ თანამშრომლებს. ამ შეხვედრამ მოზარდებს საშუალება მისცა:
   - დაესვათ პირდაპირი კითხვები კაშხლის უსაფრთხოების თემაზე
   - გაეცნოთ ეკოლოგიური გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები
   - პრაქტიკული ცოდნა მიეღოთ ჰიდროენერგეტიკის სფეროში

იქ დაისახა მომავლისკენ - გრძელვადიანი პარტნიორობის იდეა.
მოზარდების შემუშავებული პროექტის საფუძველზე დაიწყო სისტემური თანამშრომლობა "ხობი 2-ის" ჰიდროელექტროსადგურთან:

☑ **სპეციალიზებული გაკვეთილები** - ჰიდრო და ელექტროინჟინრები ჩაატარებენ სპეცგაკვეთილებს ელექტროობისა და ენერგეტიკის შესახებ

☑ **პრაქტიკული განათლება** - თეორიული ცოდნის რეალურ გარემოში გამოყენება

☑ **კარიერული ორიენტაცია** - მოსწავლეებისთვის ინჟინერიული სპეციალობების გაცნობა

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2.ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზეც და დოკუმენტბრუნვის სისტემაში სკოლას შემოსდის ინფორმაცია, სიახლეები საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის ღია კარის დღეების ჩატარების შესახებ, სადაც სთავაზობენ კონკრეტულ პროგრამებზე/ლექციებზე დასწრებას. აცნობენ სადამრიგებლო კლასების მოსწავლეებსა და მშობლებს, პირისპირ შეხვედრებისა და სოციალური ქსელების დახმარებით.კარიერული დაგეგმარებისთვის სკოლა აორგანიზებს მოსწავლეთა ვიზიტებს უნივერსიტეტებსა და კოლეჯებში.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.ადმინისტრაცია ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში უზრუნველყოს მოსწავლეებთან ფოკუს ჯგუფებში კვლევის ჩატარებას, რომლის მიზანია მოსწავლეთა ინტერესების გამოკვეთა პროფორიენტაციის კუთხით და ამ მიმართულებით სკოლის გაძლიერება **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- განხორციელებული პროექტები
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმი
- ფოტო მასალა.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას ამჟამად ჰყავს 1 სსსმ მოსწავლე და 1 სპეც . მასწავლებელი. სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმით დამტკიცებული აქვს სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებული ფორმა - დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის

ინტერესებს, სპეციფიკურ მოთხოვნებსა და საჭიროებებს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იძლევა საშუალებას ორიენტირებულად მოხდეს დროის ყოველი მონაკვეთის დაგეგმვა, გაკვეთილებზე დასწრებისა და რესურს ოთახში ინდივიდუალური მეცადინეობების გათვალისწინებით. ისგ იქმნება კონკრეტული სსსმ მოსწავლისათვის. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას ქმნის ისგ ჯგუფი, რომელიც დამტკიცებული აქვს დირექტორის სასწავლო წლის დასაწყისშივე. ისგ-ს წევრია სსსმ მოსწავლის მშობელი. მისი ხელმოწერაა დაფიქსირებული ყველა ისგ-ს ოქმში. სკოლას შემუშავებული აქვს ყოველწლიური ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, სადაც გაწერილია ინკლუზიური განათლების განხორციელებისთვის შესაბამისი აქტივობები, ვადები და პასუხისმგებელი პირები. კერძოდ, სსსმ მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაცია, მშობლის /კანონიერი წარმომადგენლის კონსულტაცია, ისგ ჯგუფების შექმნა, სხდომების დაგეგმვა და ორგანიზება, რესურს ოთახის მოწესრიგება და აღჭურვა შესაბამისი რესურსებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.პედაგოგები თანამშრომლობენ სწავლებისა და კლასის მართვის სტრატეგიების გაუმჯობესების მიზნით, აანალიზებენ მონაცემებს და ცდილობენ ერთობლივად მიაგნონ გაუმჯობესების გზებს. სამოქმედო გეგმით დასტურდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობა. მასწავლებლების კონსულტირება სასწავლო პროცესში სსსმ მოსწავლის აქტიურ ჩართულობასა და სასწავლო მასალის ადაპტირებასთან დაკავშირებით. სსსმ მოსწავლესა და კლასის დანარჩენ მოსწავლეებს შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და ჯგუფთან მიკუთვნებულობის ხარისხის გაზრდაზე ზრუნავს დამრიგებელი, სხვადასხვა საგნის მასწავლებლები და მოსწავლეები. მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრების ორგანიზებას და განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლივად დაგეგმვას უზრუნველყოფს დამრიგებელი და ინკლუზიური განათლების სპეციალისტი. სასკოლო სასწავლო გეგმაში ცვლილების შეტანაში მონაწილეობს სამეურვეო და პედაგოგიური საბჭო, (სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის დამტკიცებასთან/შეთანხმებასთან დაკავშირებით) ისგ ჯგუფი განიხილავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით მიღწეულ შედეგებს, გამოწვევებს, გამოყენებული სწავლების სტრატეგიების ეფექტურობის შეფასებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ისგ გეგმები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- მოსწავლის ადაპტაციის წესი;

- ინტერვიუ;
- რესურს ოთახი

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

1. სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს ტრანსპორტით მომსახურეობას 4 მიმართულებით, რომლითაც სარგებლობს42 მოსწავლე.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
2. მოსწავლეთა ტრანსპორტირება ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, კანონმდებლობის ფარგლებში **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
3. მოსწავლეთა ტრანსპორტით გადაადგილებისას დაცულია უსაფრთხოება, მომსახურეობა ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს..**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის II სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი ***ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა***	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 2 **სასკოლო კურიკულუმი** ***ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა***	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** **(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)** **☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი ***ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა***	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია ასახავს სურათს, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივი თემის საჭიროებებსა და მოთხოვნებს. სასკოლო პროგრამა დიდ ყურადღებას უთმობს მოსწავლეთა იმ უნარებით აღჭურვას, რაც ხელს შეუწყობს სასკოლო საზოგადოების მიერ მიზნად დასახული მისიისა და ხედვის განხორციელებას. კერძოდ, სასკოლო პროგრამაში წარმოდგენილია სხვა და სხვა საგნის ჭრილში დაგეგმილი პროექტული დავალებები. წარმოდგენილი კათედრების მიერ ორგანიზებული არა ერთი პროექტული დავალება.

კათედრები აქტიურ ღონისძიებებს ატარებენ, რათა მოსწავლეები სრულყოფილად მოამზადონ ეროვნულ თუ საერთაშორისო ოლიმპიადებისთვის, აკადემიური სირთულეების მქონე მოსწავლეებთან კი, დაგეგმილი აქვთ რემედიაციისთვის საჭირო მეცადინეობები.

ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი წლიური პროგრამები-საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები, ისევე როგორც პედაგოგებთან გასაუბრება ცხადყოფს, რომ სასწავლო პროცესისთვის შერჩეული თემები და საკითხები ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს და თანხვედრაშია თითოეულ საგნობრივ სტანდარტთან. პედაგოგები ყველა კლასში დეტალურად აანალიზებენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას გაკეთებულ მიგნებებს (სადიაგნოსტიკო წერების, შემაჯამებელი დავალებებისა თუ ყოველდღიური დაკვირვების საფუძველზე), აკვირდებიან მოსწავლეთა შესაძლებლობებს, მჭიდროდ თანამშრომლობენ მშობლებთან და ამ ფაქტორების გათვალისწინებით ქმნიან/მოდიფიცირებას უკეთებენ შემოქმედებით დავალებებს, გეგმავენ ფორმალური თუ არაფორმალური განათლების ღონისძიებებს მომდევნო სასწავლო წლისათვის.

სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი წლიური პროგრამის ამსახველი დოკუმენტები, ე. წ. კურიკულუმების ჩარჩოები მრავალფეროვანია და საშუალებას იძლევა მოერგოს სხვადასხვა ინტერესისა თუ საჭიროების მქონე მოსწავლეს, მოსწავლეთა და მშობელთა საჭიროებებისა და ინტერესების დასადგენად სკოლას აქვს მზაობა ჩაატაროს გამოკითხვა და გამოკითხვის შედეგების ანალიზზე დაყრდნობით მოახდინონ სასწავლო გეგმის განახლება.

აღსანიშნავია, რომ კვლევის შედეგებზე და მშობელთა უკუკავშირებზე დაყრდნობით სკოლა განსაზღვრავს პრიორიტეტულ მიმართულებებს. შესაბამისად შეაქვს ცვლილებები სასკოლო კურიკულუმში. მოსწავლეთა ინტერესებისა და

დიფერენცირებული მიდგომების საფუძველზე მასწავლებლები ქმნიან და ავითარებენ სასკოლო კურიკულუმს, რითაც სასკოლო კლიმატი ხდება მეტად აქტიური და პოზიტიური.

ინდიკატორი 2.1.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიით, ისევე როგორც კათედრების მიერ წარმოდგენილი ოქმებით დგინდება, რომ კურიკულუმების შემუშავება ხდება კათედრის წევრებისა და დირექციის ურთიერთ თანამშრომლობითა და განხორციელებული პრაქტიკული საქმიანობებიდან გამოკვეთილი მიგნებების გათვალისწინებით. კათედრის წევრები ერთობლივად აანალიზებენ მიღწეულ შედეგებსა და განსაზღვრავენ მომდევნო სასწავლო წლის სასწავლო პროგრამებსა და მათი განხორციელებისთვის საჭირო სათანადო აქტივობებს, თანხმდებიან სტანდარტით განსაზღვრულ თემის/თემატური ბლოკის ფარგლებში დასამუშავებელ საკითხებსა და დავალებებზე, რა ძირითად და დამხმარე რესურსებს გამოიყენებენ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში და ერთობლივად ქმნიან შეფასების ინსტრუმენტებს/რუბრიკებს.

პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ მოსწავლის ინტერესის შესაბამისად კომპლექსური დავალებების განსაზღვრის პრაქტიკა. კათედრები იყენებენ კითხვარებს, როგორც მექანიზმს, რომლის საშუალებითაც მოხდება სასკოლო საზოგადოების წევრების შეხედულებების, ინტერესების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გამოკვლევა, მათი კურიკულუმის განვითარების ციკლურ პროცესში ჩართვის მიზნით. ამგვარი მიდგომა კურიკულუმის შემუშავებისას ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების როლისა და ფუნქციის გააზრებას. საგნობრივ კათედრაზე ერთობლივი მუშაობით, მიღებული გამოცდილების გაზიარებით, შემაჯამებლების

ანალიზით, კურიკულუმის ჩარჩოს დამუშავებით, შესაბამისი თემების, შუალედური მიზნების, შეფასების კრიტერიუმების თუ რესურსების შერჩევით, კათედრებზე შედეგების ანალიზის გათვალისწინებით, მასწავლებლები სასწავლო პროცესს გეგმავენ გრძელვადიანი სასწავლო მიზნების შესაბამისად, შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე და ორიენტირებულია მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე.

ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია.

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

მშობელთა კრებების ოქმები გვიჩვენებს, რომ სკოლის დირექცია და დამრიგებლები საგნის პედაგოგებთან ერთად აქტიურად აცნობენ სასკოლო საზოგადოების წევრებს დაგეგმილ სასწავლო პროგრამას.

ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კათედრების ოქმები (უცხოური ენების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრები, საზოგადოებრივი მეცნიერებების);
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- მშობელთა კრების ოქმები;
- პროექტის გეგმები/ფოტო სურათები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლას სამივე საფეხურზე აქვს მოსწავლის ინტერესებზე, მის განვითარების პროცესებზე ორიენტირებული კურიკულუმები.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	შემუშავებული სასკოლო კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და განვითარების მნიშვნელოვან გზას. იგი მიზნად ისახავს თითოეული მოსწავლის უნარების, ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით სწავლის პროცესის ორგანიზებას. კურიკულუმი ხელს უწყობს ცოდნის სისტემურ გადაცემას და სწავლების მიზანმიმართულობას. ასევე, ის ქმნის შესაძლებლობას მრავალფეროვანი თემებისა თუ შემაჯამებელთა იდეების საფუძველზე მოსწავლემ გაიღრმავოს ცოდნა. მოსწავლეზე ორიენტირებული კურიკულუმი უზრუნველყოფს აქტიურ სწავლის გარემოს, რაც აუმჯობესებს მოტივაციასა და სწავლის ხარისხს. იგი ასახავს თანამედროვე მოთხოვნებს, მათ შორის კრიტიკული აზროვნების, თანამშრომლობისა და პრობლემის გადაჭრის უნარების განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხოური ენების სამივე საფეხურისთვის შემუშავებული და წარმოდგენილი კურიკულუმები შეესაბამება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს, ადაპტირებულია მოსწავლეზე, რაც გულისხმობს მათი საჭიროებების, ინტერესებისა და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებას. სასწავლო თემები

	შერჩეულია ისე, რომ შეესაბამებოდეს სკოლაში არსებული რესურსებისა და სასწავლო გარემოს შესაძლებლობებს, რითაც უზრუნველყოფილია ყველა მოსწავლის ჩართულობა და ენობრივი უნარების თანმიმდევრული განვითარება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** **<u>რჩევა:</u>** **რეკომენდებულია, რომ კურიკულუმში და კომპლექსურ დავალებებში გათვალისწინებული იყოს სსსმ მოსწავლეებზე მორგებული აქტივობები და ალტერნატიული დავალებები.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ პირველ ეტაპზე ესთეტიკური კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, გამოიკვეთა, რომ **მუსიკის და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სამივე საფეხურის** კურიკულუმის ჩარჩო ფორმა განსხვავებულია. ასევე **დაწყებით და საბაზო** საფეხურის რესურსების გრაფა არ არის შევსებული სრულად გრიფირებული სახელმძრვანელოს გვერდების მითითებით. **სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში არ არის განსაზღვრული სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო თემატური ბლოკები,** ასევე **არ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება თემის ფარგლებში.** ასევე (5-6 კლასში არ მუშავდება სავალდებულო მე-5-ე სამიზნე ცნება **"სხვადასხვა ეპოქის/კულტურის ხელოვნების სახასიათო ნიშნები/მხატვრული მახასიათებლები")** წარმოდგენილ კურიკულუმებში

	განსაზღვრული სამიზნე ცნებების **ქვეცნებები არ შეესაბამება დავალების პირობის შინაარსს.** ასევე **საბაზო საფეხურზე** წარმოდგენილი **სამიზნე ცნებების ფორმულირება არასწორია. უნდა შეესაბამებოდეს სტანდარტით განსაზღვრულ სამიზნე ცნებების ფორმულირებას** (მაგ: "სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნაცვლად" უნდა იყოს "სახვითი ხელოვნება") არ არის **საფეხურეობრივი სავალდებულო თემატური ბლოკები და თემატური ბლოკების ფარგლებში შერჩეული თემები** (მაგალითად მე-8-ე კლასში თემატური ბლოკები არის წარმოდგენილი თემების სახით) აქედან გამომდინარე, დასკვნის პროექტში სკოლას ეს ინდიკატორი დაუხარვეზდა. აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებით, შესაბამისობის უზრუნველტოფის გეგმასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა კორექტირებული კურიკულუმები, სადაც ძირითადი ხარვეზები გასწორებულია, თუმცა სკოლას სტანდარტის უკეთ დაკმაყოფილების მიზნით ეძლევა გარკვეული მითითებები, რომელთა გათვალისწინება კურიკულუმის ჩარჩოს უფრო მკაფიოს და მიზანმიმართულს გახდის. მაგ: **მუსიკის და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სამივე საფეხურის** კურიკულუმის ჩარჩო ფორმა განსხვავებულია. ასევე სასურველია **დაწყებით და საბაზო** საფეხურის რესურსების გრაფა შეივსოს სრულად დამატებითი რესურსების მითითებით. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების პირველი და მეორე კლასებში მოცემულ თემატურ ბლოკებში ჩამოყალიბდეს და დამუშავდეს სასურველი თემები, ასევე დაკორექტირდეს თემატური ბლოკი „ადამიანი და ხელოვნება" როგორც „ადამიანები და ხელოვნება" ხოლო რაც შეეხება მე-3-4-5-6-ე კლასებს სტანდარტის შესაბამისად მოხდეს „მე

	და გარესამყარო“ „ადამიანები და ხელოვნება“ და „ხელოვნება ჩვენ გარშემო“ თემატური ბლოკების ფორმულირება და მათ ფარგლებში დამუშავდეს მოცემული თემები. **საბაზო საფეხურზე** მე-8-ე კლასში, თემატური ბლოკის ,,საზოგადოება და ხელოვნება“ ფარგლებში დამუშავდეს სასურველი თემა, სტანდარტის შესაბამისად მოხდეს პირველი და მეორე თემატური ბლოკის ფორმულირება “გარემო და ხელოვნება”, “ადამიანი ხელოვნებაში”. რაც შეეხება მე-7-ე და მე-9-ე კლასებს სტანდარტის შესაბამისად მოხდეს “გარემო და ხელოვნება”, “ადამიანი ხელოვნებაში” ,,საზოგადოება და ხელოვნება“ თემატური ბლოკების ფორმულირება და მათ ფარგლებში დამუშავდეს მოცემული თემები. **საშუალო საფეხურის** კურიკულუმები სრულად აკმაყოფილებს ინდიკატორს. **რჩევა:** სასურველია სკოლამ დაწყებითი და საბაზო საფეხურის კურიკულუმის დაგეგმვისას გაითვალისწინოს ყველა სტრუქტურული ერთეული: თემატური ბლოკი, თემა, სამიზნე ცნება/ქვეცნება, საკითხი, კონტექსტ მაგალითი, შემოქმედებითი დავალება, რესურსი და დაიცვას საფეხურით განსაზღვრული სტანდარტთან მიმართებები. სასურველია მუსიკის და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სამივე საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო იყოს ერთნაირი. ასევე დაწყებით და საბაზო საფეხურის რესურსების გრაფა იქნას სრულად შევსებული გვერდების მითითებით.
სახელმწიფო ენა	ვიზიტის ფარგლებში სკოლამ წარმოადგინა სახელმწიფო ენის კურიკულუმი, რომელიც წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების

	გზას. აღსანიშნავია, რომ კურიკულუმი საჭიროებს დახვეწას და კიდევ უფრო მეტად მორგებას მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებზე. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა გამოცდილება და მზაობა, რაც სამომავლოდ ქმნის იმის საფუძველს, რომ სკოლას ნამდვილად შეუძლია ამ მიმართულებით უკეთესი, უფრო დახვეწილი და მოსწავლეთა განვითარებაზე მეტად ორიენტირებული კურიკულუმი შექმნას. **<u>რჩევა-</u>** სასურველია სკოლამ სამომავლოდ დოკუმენტების სახით შემოინახოს მოსწავლეთა საჭიროების კვლევის ამსახველი მასალები **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	მასწავლებლების მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; კურიკულუმებში შეტანილი თემები (კათედრა ხელმძღვანელობს გრიფირებული სახელმძღვანელოებით) მოსწავლეებს სთავაზობს ნაცნობ, მათი ასაკობრივი ინტერესების შესაბამის კონტექსტებს, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების (შედეგების, ცნებების, კონკრეტული საკითხების) ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. **რჩევა: --სასურველია**

	კურიკულუმში გაიწეროს სასწავლო რესურსები, რომელიც იქნება მრავალფეროვანი.
სპორტი	სკოლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის წარმოდგენილი კურიკულუმები შედგენილი და მორგებულია მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო წარმოდგენილია ყველა კლასში. საგნობრივი კურიკულუმი შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, მაგრამ კლასის საგნის კურიკულუმებში არ იფარება ყველა სამიზნე ცნება, პროცესი ნაწილობრივ წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ დაგეგმვას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** ***<u>რჩევა:</u>*** ***სასურველია კურიკულუმში გათვალისწინებული იყოს მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებები და შესაძლებლობები.***
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში განსაზღვრულია ისეთი აქტივობები, რომელთა საშუალებითაც სასწავლო პროცესში მოსწავლე შეძლებს თავისი უნარების განვითარებას.

	<u>რჩევა:</u> კარგი იქნება, თუ მასწავლებლები მეტად გამოიყენებენ ბუნებრივ გარემოს, რათა არაფორმალური განათლების მიმართულებითაც მეტად მიიღონ გამოცდილება მოსწავლეებმა.

2. <u>კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს</u>

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები სამივე საფეხურზე აკმაყოფილებს ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს და მის მოთხოვნებს. მოსწავლეს საგნობრივ ცოდნასთან ერთად უვითარებს ფუნქციურ კომპონენტურ უნარებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმი უკავშირდება ეროვნულ სასწავლო გეგმას და მის მიერ განსაზღვრულ მიზნებს. იგი წარმოადგენს იმ სტრატეგიულ დოკუმენტს, რომლის მეშვეობითაც სკოლა ახორციელებს ეროვნული საგანმანათლებლო პრიორიტეტების პრაქტიკაში გადმოტანას. კურიკულუმი

	ასახავს ზოგად ეროვნულ მიზნებს კონკრეტულ სასწავლო პროცესში და უზრუნველყოფს მათ ეტაპობრივ და სისტემურ განხორციელებას. ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე შექმნილი კურიკულუმი ეხმარება სკოლას, ჩამოაყალიბოს სასწავლო გარემო, რომელიც შესაბამისობაშია ქვეყნის განათლების ფილოსოფიასთან. იგი ასევე უზრუნველყოფს განათლების ხარისხის ერთიან სტანდარტს. კურიკულუმის მეშვეობით იქმნება ბმა მოსწავლის საჭიროებებსა და ეროვნული მიზნების მიღწევას შორის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნებისკენ. საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად შერჩეული თემების განხორციელების პირობებში, პედაგოგები ყველა საფეხურზე შეძლებენ შედეგზე ორიენტირებული სწავლების დაგეგმვას და ეროვნული მიზნების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** **<u>რჩევა:</u>** მიზანშეწონილია მომავალში კურიკულუმში უფრო დეტალურად აისახოს კონკრეტული სასწავლო აქტივობები

	და მეთოდები, რომლებიც მოსწავლეებს პრაქტიკულად შეუწყობს ხელს კომუნიკაციის, თანამშრომლობისა და კრიტიკული აზროვნების განვითარებაში. ასევე სასარგებლო იქნება კულტურათაშორისი პროექტებისა და ინტერაქტიული დავალებების ინტეგრირება, რათა გლობალური ფუნქციური უნარები უფრო ეფექტიანად ჩამოყალიბდეს.
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური კათედრის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ჩანს, რომ კათედრას აქვს შემოქმედებითი ტიპის დავალებების განხორციელების გამოცდილება, გათავისებული აქვთ, შუალედური მიზნები განსაზღვრონ ამ დავალებებზე დაფუძნებით. გრძელვადიანი მიზნები ემსახურება ცნება/ქვეცნებათა მუდმივი დამუშავება საკითხების კომპლექსური დავალებებით შესწავლით და პროდუქტის წარმოდგენით, რაც მოსწავლეებს განუვითარებს ცოდნის სამივე კატეგორიას. ესთეტიკურ საგნებში მოცემული აქტივობები მოსწავლეებს ჩამოუყალიბებს ემპათიის უნარს, ემოციურ ინტელექტს, მისცემს მათ იმპროვიზაციის შესაძლებლობას, განუვითარებს კრიტიკულ, შემოქმედებით აზროვნებას და მოამზადებს ცხოვრებისათვის.
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ შექმნილი კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. ყველა კლასის კურიკულუმი იმგვარადაა შედგენილი, რომ გათვალისწინებულ იქნას ეროვნული სასწავლო გეგმით

	განსაზღვრული მიზნები. სკოლას აქვს შედარებით მცირე გამოცდილება კურიკულუმის დოკუმენტის შექმნისა და ამ მიმართულებით სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვისა მათ სჭირდებათ მეტი მხარდაჭერა ამ მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ პედაგოგებს აქვთ ძალიან მაღალი მზაობა და მოტივაცია პროფესიული განვითარებისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	კურიკულუმებში გაწერილია ესგ შესაბამისად ყველა სამიზნე ცნება, ასევე თემები, რომელიც უნდა იქნას სასწავლო წლის განმავლობაში დაძლეული. ასევე ჩანს ცოდნათა სამ კატეგორიაზე გათვლილი დავალებები, წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რომლებიც ცოდნის პრაქტიკაში გადატანის საშუალებას იძლევა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	წარმოგდენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებისაკენ (ფიზიკური თვისებები, ორგანიზებულობა და თვითკონტროლი, ცხოვრების ჯანსაღი წესი), სამიზნე ცნებები და შედეგები.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
ტექნოლოგიები	გადმოგზავნილ კურიკულუმის ჩარჩოში ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად ყველა კლასში არ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. სკოლამ ვიზიტის მეორე დღეს გადმოაგზავნა რედაქტირებული კურიკულუმები, თუმცა რედაქტირებულ კურიკულუმებში ყველა კლასში არ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** **<u>რჩევა:</u>** **ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად ყველა კლასში დამუშავდეს ყველა სამიზნე ცნება.**

3. <u>კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას</u>

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კურიკულუმების ჩაშენებულ რესურსებში სამივე საფეხურზე ჩანს, როგორც გრიფირებული სახელმძღვანელო, ასევე ონლაინ რესურსები, რომელსაც იყენებენ სწავლების პროცესში, რაც

	უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევას. დაწყებითი საფეხური/ ბუნებისმეტყველება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** **<u>რ ჩ ე ვ ა:</u>** კურიკულუმში ასახული ტელესკოლისა, თუ სხვა ონლაინ რესურსების ბმულის სახით დაფიქსირება ,,სასწავლო რესურსები'ს ველში, ყველა კლასის კურიკულუმში გამოყენებულ იქნეს ტელესკოლის რესურსები. სასურველია ელექტრონული რესურსების მრავალფეროვნება (ვიდეო/ანიმაციური ფილმები) ასევე სპეციალურად შემუშავებული რესურსები, რასაც თავად იყენებენ სასწავლო პროცესში: დაკვირვების ფურცლები, ექსპერიმენტის აღმწერები და ა. შ.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია სკოლის მიერ. კონკრეტულად, კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები – მათ შორის სასწავლო მასალები, ვიზუალური და ციფრული მასალები, ასევე თემატურად შერჩეული დამატებითი წყაროები – ეფექტურად ემსახურება მოსწავლეების მიერ სასწავლო შედეგების მიღწევას. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ რესურსები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების, ინტერესების გათვალისწინებით. მასწავლებლები ახერხებენ მათ ინტეგრაციას სასწავლო პრაქტიკაში, რაც ხელს უწყობს

	როგორც აკადემიური, ისე სოციალური და კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებას. **<u>რჩევა:</u>** სასურველია სკოლამ კიდევ მეტად მრავალფეროვანი რესურსი შესთავაზოს მოსწავლეებს, როგორც წყაროები, ასევე ფილმები, პრეზენტაციები და სხვა, რადგან, ხშირ შემთხვევაში, მხოლოდ ერთი დამატებითი რესურსია შემოთავაზებული. ასევე საჭროა, მეტად კონკრეტული ინფორმაცია წარმოადგინონ კურიკულუმში რესურსის შესახებ. ეს იქნება კონკრეტული ბმული, ფილმის სახელწოდება თუ სხვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხოური ენების კურიკულუმებში წარმოდგენილი რესურსები მოსწავლეთა ინტერესებსა და საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებს შეესაბამება. გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი დონე, ენობრივი საჭიროებები და ინტერესები. რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით და პედაგოგებთან გასაუბრებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია** **<u>რჩევა:</u>** სასურველია, კათედრამ საგნობრივი მიმართულებით წინასწარ განსაზღვროს რესურსების დეტალური ჩამონათვალი, რაც ხელს შეუწყობს სწავლების პროცესის

	უკეთ დაგეგმვას, რესურსების მიზანმიმართულ გამოყენებას და მოსწავლეთა სწავლაზე ორიენტირებულ აქტიურ ჩართულობას. ასევე სასურველია, სსსმ მოსწავლეთათვის კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები იყოს კიდევ უფრო ინდივიდუალიზებული და დიფერენცირებული.
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, გამოიკვეთა: **მუსიკის და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დაწყებით და საბაზო საფეხურზე** შემოქმედებითი პროდუქტის (კომპლექსური დავალების) რაოდენობა, შეუსაბამოა სასწავლო მასალის სრულფასოვნად ასათვისებლად კონკრეტულ ვადაში. **მუსიკაში ყველა საფეხურის კურიკულუმში** არ იძებნება სვეტი „მაგალითები შედარებისთვის“, ასევე ზოგიერთ კურიკულუმში არ არის რესურსებში მითითებული გვერდები გრიფირებული სახელმძღვანელოდან. <u>**რჩევა:**</u> სასურველია, გადაიხედოს შემოქმედებითი პროდუქტის რაოდენობა, რათა მოხდეს სასწავლო მასალის სრულფასოვნად ათვისება კონკრეტულ ვადაში, კათედრაზე ჩამოყალიბდეს ერთიანი ხედვა, სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში **დაწყებით და საბაზო საფეხურზე** შემოქმედებითი პროდუქტის (კომპლექსური დავალების) რაოდენობასთან დაკავშირებით მაგ: სემესტრის განმავლობაში ერთი მაინც; სასურველია **მუსიკაში ყველა**

	საფეხურის კურიკულუმში ჩაემატოს „მაგალითები შედარებისთვის“ სვეტი და შეივსოს თემის, ცნება/ქვეცნებების და საკითხის გათვალისწინებით.. სასურველია, ძირითად რესურსად გამოყენებული იყოს გრიფირებული სახელმძღვანელოები, გვერდების მითითებით.
სახელმწიფო ენა	სკოლას აქვს კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სახელმწიფო ენის კათედრასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლას აქვს შესაბამისი რესურსი, რომლითაც მოსწავლეებს აძლევენ საშუალებას შეასრულონ კურიკულუმით გათვალისწინებული დავალებები და მიიღონ შესაბამისი მხარდაჭერა როგორც ტექნიკური, ისე მატერიალური რესურსის სახით. გასაუბრებისას, პედაგოგებმა ისაუბრეს როგორც მატერიალურ რესურსებზე, ასევე ონლაინ რესურსებზე, რომელსაც აქტიურად იყენებენ სწავლა-სწავლების პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	კურიკულუმი მოიცავს მხოლოდ ინტერნეტ რესურსებს, სასურველი იქნება, რომ კურიკულუმშივე იყოს გაწერილი რესურსების მრავალფეროვნება, რათა შესაძლებელი იყოს

	სწავლების დონეზე დაძლეული იყოს მოსწავლეების საჭიროებიდან გამომდინარე საკითხის გაგების სირთულეები. **<u>რჩევა:</u>** კურიკულუმში გათვალისწინებული იყოს სხვადასხვა სახის რესურსები.
სპორტი	კურიკულუმში გათვალისწინებული რესურსები უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ხალისიანად წარმართვას და მოსწავლის მაღალ შედეგებზე გაყვანას საფეხურების მიხედვით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში მითითებული რესურსები, მათ შორის ელექტრონული ბმულები, უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს, მოსწავლეთა ინტერესებსა და მზაობას. შემოქმედებით დავალებებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა მრავალმხრივი უნარების გამოვლენა. საჭიროების შემთხვევაში ხდება სასწავლო პროცესის და მოსწავლეთა დავალებების ადაპტირება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა დამაკმაყოფილებლად ახორციელებს ინკლუზიურ და დიფერენცირებულ მიდგომებს სასწავლო პროცესში აშკარად ჩანს მცდელობა, ყველა მოსწავლის უნარების, შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებით მოხდეს სწავლა-სწავლების ორგანიზება. მასწავლებლები იყენებენ სხვადასხვა ტიპის აქტივობებსა და საშუალებებს იმისთვის, რომ უზრუნველყონ ყველა მოსწავლის ჩართულობა, მათ შორის მათიც, ვინც განსაკუთრებულ საგანმანათლებლო საჭიროებებს ავლენს. აღსანიშნავია, რომ სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულებები, რომლებშიც იკვეთება როგორც დიფერენცირებული, ასევე ინკლუზიური მიდგომები. სკოლის სასწავლო გარემო ხელს უწყობს ინკლუზიურობის პრინციპების დაცვას.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. **<u>რჩევა:</u>** სასურველია, დიფერენცირებულ მიდგომებს უფრო აქტიურად მიმართოს სკოლამ. მოსწავლეებს მისცეს არჩევანის გაკეთების საშუალება როგორც დავალების ფორმატის, ასევე შინაარსისა და სტრუქტურის ნაწილში. აღნიშნული მოსწავლეებს საშუალებას მისცემს, მეტად გამოავლინონ ინდივიდუალური შესაძლებლობები, ასევე გაზრდის მოსწავლეთა ჩართულობასა და მოტივაციას.
უცხოური ენები	სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებულ/ინკლუზიური მიდგომები, რაც სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ჩანს და ასევე პედაგოგებთან ინტერვიუების მიხედვით. პედაგოგები მზად არიან სსსმ მოსწავლეებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენასა და ადაპტაციების გატარებისთვის, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურობას და თითოეული მოსწავლის შესაძლებლობებზე ორიენტირებულ სწავლებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** **<u>რჩევა:</u>** სასურველია, სკოლამ სასწავლო პროგრამაში მკაფიოდ განსაზღვროს დიფერენცირებული დავალებებისა და

	აქტივობების მაგალითები, შესრულების პირობები და დეტალური ინსტრუქციები.
ესთეტიკური აღზრდა	წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ კათედრას აქვს დიფერენცირებული სწავლების გამოცდილება, რაც ინტერვიურების პროცესში დადასტურდა. მიეცათ **<u>რჩევა,</u>** ისგ, რომელსაც შეუდგენენ მოსწავლეს, მოიცავდეს ასაკობრივ თავისებურებებს, შეასწავლიდეს ზუსტად იგივე თემას, საკითხს და ამუშავებდეს ყველა ქვეცნებას, რომელიც გათვალისწინებულია კომპლექსური დავალების შესრულებისათვის. ოღონდ, მოცემულობა მოერგოს მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებს და შესაბამისად წარიმართოს თემის დაძლევაზე მუშაობაც. კათედრამ გამოთქვა მზაობა აღნიშნული საკითხის მიმართ და ეს კრიტერიუმიც შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან.
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრამ წარმოადგინა დიფერენცირებული მიდგომის და მოსწავლეთა მხარდაჭერის არაერთი მაგალითი, მათ ასევე წარმოადგინეს დავალებები, რომლებიც მოსწავლეებს აძლევს საშუალებას, დავალება შეასრულონ იმ ფორმით, რა ფორმითაც მათთვისაა მისაღები. პედაგოგები სახელმწიფო ენის სწავლებისას მოსწავლეებს სთავაზობენ დავალებას და მისი შესრულების

	რამდენიმე ფორმას. არჩევანი საკმაოდ მრავალფეროვანი და საინტერესოა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლას შემუშავებული აქვს ისგ გეგმები, რომელიც საშუალებას იძლევა, რომ მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობები იქნას აღწერილი, ამასთან კომპლექსური დავალების შინაარსობრივ ნაწილში აღინიშნება დიფერენცირებული სწავლების პრინციპები. **<u>რჩევა;</u>** სასურველი იქნება სკოლაში ტესტები შემუშავდეს იმდაგვარად, რომ მოსწავლეთა შესაძლებლობების გამოვლენა მაქსიმალურად მოხდეს.
სპორტი	სკოლა უზრუნველყოფს ფიზიკური აღზრდასა და სპორტში სასწავლო პროცესის დიფერენციალურ და ინკლუზიური მიდგომებს, სკოლაში იგეგმება სსსმ მოსწავლეებისათვის ფიზიკური აღზრდის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დამუშავება და მოსწავლეების საჭიროებისადმი მორგება, რომელიც ჩაშენებული იქნება კომპლექსურ დავალებებში, სსიპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ლეწურწუმეს თემის საჯარო სკოლის საჭიროებების შესწავლის შედეგებიდან გამომდინარე, სკოლა მომავალში მეტად

	უზრუნველყოფს მოსწავლეების მაქსიმალურად ჩართვას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	ინტერვიუს დროს მასწავლებელი ვერ საუბრობს დიფერენცირებულ მიდგომებზე კომპიუტერული ტექნოლოგიების სწავლებისას. ინტერვიუს დროს მასწავლებელს ვერ მოჰყავს მაგალითები, თუმცა მასწავლებელს/სკოლას აქვს მზაობა განახორციელოს დიფერენცირებული მიდგომა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** **<u>რჩევა:</u>** **მასწავლებელმა დაგეგმოს აქტივობები მოსწავლეთა საჭიროებების დადგენის მიზნით და შედეგებიდან გამომდინარე მოახდინოს კურიკულუმის მოდიფიცირება.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომას იმ მოსწავლეებთან, რომლებსაც სჭირდებათ აკადემიური უნარების გაუმჯობესება.

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმებში წარმოდგენილი მოსწავლეთა შეფასების სისტემა შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებთან, მიზნებთან და ამოცანებთან. არის მრავალმხრივი (განმსაზღვრელი, განმავითარებელი, შემაჯამებელი, პრეზენტაციის, ლაბ. სამუშაოს) სამიზნე ცნებებზე გაწერილი და მკვიდრი წარმოდგენების გაზომვას ემსახურება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	შეფასების რუბრიკების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ პრონციპებთან. შეფასების პროცესში გათვალისწინებულია როგორც ცოდნის შემოწმება, ისე უნარების. შეფასება არ შემოიფარგლება მხოლოდ ტესტური ფორმებით – მასში შედის სხვადასხვა სახის ფორმატული და შემაჯამებელი მეთოდი, რაც ეხმიანება გეგმით განსაზღვრული მრავალმხრივი შეფასების მიდგომას. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მასწავლებლები იყენებენ ცხადად ფორმულირებულ კრიტერიუმებს, რათა შეფასება იყოს ობიექტური, გამჭვირვალე და განვითარებაზე ორიენტირებული. ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია ის, რომ სკოლა რეგულარულად აანალიზებს შეფასების შედეგებს.

	სკოლა იყენებს როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების ფორმებს. მტკიცებულებების სახით წარმოდგენილია სხვადასხვა აქტივობისთვის შერჩეული შეფასების ფორმები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** **<u>რჩევა:</u>** შეფასების ფორმათა ორგანიზებისას სასურველია, მეტი სიზუსტით ერგებოდეს კონკრეტულ აქტივობას და მკაფიოდ იკვეთებოდეს შესაბამის სამიზნე ცნებებთან კავშირი.
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს დგინდება რომ, სკოლაში ჩამოყალიბებულია ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემა, თუმცა წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები ზოგადია და მორგებულია თითქმის ყველა ტიპის დავალებაზე და ნაკლებად არის კონკრეტული. მნიშვნელოვანია, რომ კათედრას აქვს მზაობა და მოტივაცია განიხილონ კათედრაზე და შეიმუშაონ შეფასების ახალი რუბრიკები ისეთი ფორმით და შინაარსით, რომელიც მკაფიოდ აჩვენებს კავშირს საგნობრივ სტანდარტთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** **<u>რჩევა:</u>** სასურველია, რომ თითოეულ საფეხურზე ენის გათვალისწინებით შეიქმნას ცხადი და დეტალური

	კრიტერიუმები, რომლებიც განსაზღვრავს მოსწავლის ცოდნის, უნარების და კომპეტენციების მიღწევის დონეს, რაც უზრუნველყოფს შეფასების სამართლიანობას და შესაძლებლობას, ადეკვატურად შეაფასონ წინსვლა და საჭიროების შემთხვევაში განხორციელდეს სწავლის დიფერენცირება. რეკომენდებულია კრიტერიუმები დაეფუძნოს კონკრეტულ უნარებს და შეესაბამებოდეს საგნის მიზნებსა და მასალას.
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის კათედრამ მტკიცებულებად წარმოადგინა დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.მიეცათ **<u>რჩევები</u>** და კათედრა შეძლებს მსგავსი მოცემულობის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შექმნას ყველა თემასთან მიმართებით, რაც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის პედაგოგებთან გასაუბრებისას ირკვევა, რომ პედაგოგები, მუდმივად აცნობენ მათ მოსწავლეებს შეფასების კრიტერიუმებს წინასწარ და მოსწავლეები წინასწარ არიან ინფორმირებულები იმ კრიტერიუმების შესახებ, რომლითაც შეფასდება მათი დავალებები. კათედრის მიერ წარმოდგენილი მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. როგორც ინტერვიუს

	დროს დადგინდა, სკოლას აქვს შეფასების სისტემის გაზიარებისა და მოსწავლეებთან შეთანხმების პრაქტიკაც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სკოლის მიერ გამოგზავნილი შეფასების რუბრიკები არის ესგ მოთხოვნების შესაბამისად შემუშავებული, და მასში ასახულია ყველა ის ინდიკატორი, რომელიც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის შეფასებითი ნაწილი იქნას ეფექტურად გამოყენებული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	მასწავლებელი ფლობს განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტს და წარმატებით იყენებენ პრაქტიკაში, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ერთობლივად ადგენენ შეფასების რუბრიკებს (პრეზენტაცია), ფიზიკური აღზრდასა და სპორტში მასწავლებელთან გასაუბრების დროს კი გამოიკვეთა რომ, მომავალი სასწავლო წლის დასაწყისში გათვალისწინებულია ფიზიკური აღზრდასა და სპორტში შეფასების სისტემის განვითარება და დახვეწა, რომლებიც სრულად დააკმაყოფილებს საგნის შეფასების სისტემის ვალიდურობას, იქნება გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები	დამატებით დოკუმენტებში და ვიზიტის მეორე დღეს გადმოგზავნილ დოკუმენტებში სკოლამ წარმოადგინა საგანში კომპიუტერული ტექნოლოგიები განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ნიმუშები. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. ვიზუალურ პროგრამირებაში გადმოგზავნილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ითვალისწინებს სტანდარტებით განსაზღვრულ მიზნებს და მისაღწევ შედეგებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე გამოყენებული იყო შეფასების რუბრიკები, რომლებიც ეფუძნებოდა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს და გამომდინარეობდა უშუალოდ დავალების შინაარსიდან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა; ინდ გეგმა;
- რემედიაციის გეგმები;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მეთოდოლოგია.
- პროექტების გეგმები და ფოტო-მასალა;

ესთეტიკა (სახ ხელოვნება და მუსიკა)

- ხელოვნების და მუსიკის საგნობრივი კურიკულუმები.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები.
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.
- კათედრის სხდომის ოქმი.

უცხოური ენები

- დაწყებითი , საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები (ინგლისური,რუსული) დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი
- სსიპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ლეწურწუმეს თემის საჯარო სკოლა2024-2025 სასწ.წელი , უცხოური ენების კათედრის ოქმი(კათედრის თავმჯდომარის არჩევა, სამოქმედო გეგმის დამტკიცება, სწავლებისას გამოსაყენებელი რესურსების განსაზღვრა, შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობების განსაზღვრა, შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმების განხილვა, კურიკულუმების განხილვა,)
- შუალედური დავალების შეფასების რუბრიკა – რუსული ენა
- შეფასების რუბრიკები
- სამოქმედო გეგმა ინკლუზიური განათლების განვითარება და გაძლიერება:
- შემაჯამებელი დავალების შეფასების რუბრიკა – უცხო ენა (10 ქულიანი)
- უცხო ენის კათედრის სხდომის ოქმი(სამოქმედო გეგმა დიფერენცირებული სწავლებისთვის)
- სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა – ინგლისური ენა

- სემესტრული ანგარიშის ოქმი შემაჯამებელი დავალებების რაოდენობის შესახებ
- ინტეგრირებული პროექტი – ჯანსაღი ცხოვრების წესი
- პრეზენტაცია – ჯანსაღი ცხოვრების წესი
- წლიური ანგარიშის ოქმი შემაჯამებელი დავალებების რაოდენობის შესახებ
- შუალედური დავალების შეფასების რუბრიკა – ინგლისური ენა
- დიფერენცირებული სწავლების რუბრიკა (ინგლისური და რუსული ენა)
- დიფერენცირებული სწავლების მიდგომები უცხო ენაში (ინგლისური და რუსული)
- PowerPoint პრეზენტაცია – Healthy Lifestyle / Здоровый образ жизни
- შემაჯამებელი დავალებების სავალდებულო რაოდენობა
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი1.(სემესტრის განხილვა, საათობრივ ბადეში ცვლილებების შეტანა)
- შემაჯამებელი დავალების ანალიზი(ინგლისური ენა5,6)
- საგნობრივი ანგარიში ინგლისურ ენაში
- საგნობრივი ანგარიში რუსულ ენაში
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დამტკიცების შესახებ ბრძანება
- დაკვირვების ფორმა 1.გაკვეთილზე დაკვირვება თემატური ერთეულის განხორციელების პროცესში
- სსიპ - ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ლეწურწუმეს თემის საჯარო სკოლის სამოქმედო გეგმა 2024-2025 წლები

საზოგადოებრივი მეცნიერებები:

- კურიკულუმები საზოგადოებრივ მეცნიერებებში (მესამედან მეთორმეტე კლასის ჩათვლით)
- ელექტრონული რესურსების ჩამონათვალი ბმულების სახით
- ოქმი №1 საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის სამოქმედო გეგმა
- დანართი №20 ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
- დანართი №22 კათედრების სამოქმედო გეგმა
- დანართი №23 კომპლექსური დავალებები
- დანართი №25 მასწავლებლების ინდივიდუალური ანგარიშები
- პროექტი „გარდატეხის ასაკის თავისებურებები“
- დანართი N1--სასკოლო სასწავლო გეგმა
- დანართი N38 -პედაგოგიური საბჭოს ოქმი N2 2024-2025.
- დანართი N13- ვერიფიკაციის მექანიზმები;

- დანართი N18 - პედ. საბჭოს ოქმი N4 შეფასების კომპონენტებთან დაკავშირებით
- დანართი N42--ხარისხის განვითარებისა და პროფესიული განვითარების მხარდაჭერის ჯგუფი
- დანართი N40 -- კულიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის შესახებ
- საათობრივი ბადე I სემესტრი 2024-2025 სასწ წელი
- დანართი N68 --შინაგანაწესი

კომპლექსური დავალებები დაწყებით საფეხურზე

1. **მე და საზოგადოება მე–3 კლასი.** ჩემი სახლის ბინადრები. ფოტო კოლაჟის შექმნა ოჯახის ბინადრებზე ზრუნვის შესახებ
2. **მე და საზოგადოება მე–3 კლასი.** სკოლაში ქცევის წესი. საკლასო კონსტიტუციის შექმნა.
3. **მე და საზოგადოება მე–4 კლასი.** ესე „მე 20 წლის ასაკში“
4. **ჩვენი საქართველო მე–5 კლასი: ქართლი.** პრეზენტაცია ქართლის ციხე-სიმაგრეების შესახებ
5. **ჩვენი საქართველო მე–6 კლასი:** კახეთი. ბუკლეტის შექმნა კახური ღვინის პოპულარიზაციისთვის.

კომპლექსური დავალებები საბაზო საფეხურზე

1. **გეოგრაფია.** დედამიწა. ფიშბოუნის დიაგრამის საშუალებით როგორ მიმდინარეობს გაუდაბნოება აფრიკის კონტინენტზე.
2. **ისტორია.** პოსტერი „ოქრო მრავალი კოლხეთი“
3. **მოქალაქეობა.** პრეზენტაცია „დემოკრატიული სკოლა“
4. **მოქალაქეობა.** პრეზენტაცია „ადრეული ქორწინება“

კომპლექსური დავალებები საშუალო საფეხურზე

1. **გეოგრაფია:** SWOT ანალიზი მოსახლეობის სიმჭიდროვის შესახებ
2. **გეოგრაფია:** თხზულება ადამიანისა და გეოგრაფიული გარემოს ურთიერთკავშირის შესახებ
3. **ისტორია** :კომიქსების შექმნა პრეისტორიის შესახებ
4. **მოქალაქეობა**: პრეზენტაცია პოლიტიკა და მედია

მათემატიკა

- *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია.*
- *კათედრის ოქმი*

- *საგნობრივი კურიკულუმები*
- *4.შეფასების რუბრიკები*
- *5.შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი*

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური

- I-VI კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმები
- I-VI კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმი
- I-VI კლასის მათემატიკის კურიკულუმი
- შეფასების რუბრიკები;

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ბუნებისმეტყველება, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) კურიკულუმები;

- .განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- კომპლექსური დავალების ნიმუშები, შემაჯამებელი დავალებები, განხორციელებული შემოქმედებითი დავალების ფოტო მასალა.,
- გასაუბრებისას გამოკვეთილი კათედრაზე ურთიერთგაზიარებისა პრაქტიკა და კათედრის დოკუმენტაციის სისტემური წარმოების პრაქტიკის დანერგვა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2024-25წ.
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია.

სახელმწიფო ენა

- საგნობრივი კურიკულუმები.
- მოსწავლის მიერ შესრულებული დავალებები.
- შეფასების მაგალითები.
- მასწავლებლებთან ინტერვიუ.

ფიზიკური აღზრდა და სპორტი

- დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში;
- დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში;
- სპორტისა და ესთეტიკური აღზრდის კათედრის ოქმი;
- შემოქმედებითი დავალება ფესტივალი ,,მხიარული თამაშები";

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია წარმოდგენილი კურიკულუმის შესაბამისად. საჭიროებიდან გამომდინარე ზოგჯერ ხდება მცირედი მოდიფიცირება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა სასწავლო პროცესს გეგმავს ეროვნული სასწავლო გეგმითა და სასკოლო კურიკულუმებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში. პედაგოგები სწავლების დაგეგმვისას ეყრდნობიან კურიკულუმში მოცემულ თემატიკას, შემაჯამებელი დავალებების იდეებს, სამიზნე ცნებებსა და სასწავლო მიზნებს. თითოეული სასწავლო ერთეული წარიმართება კურიკულუმში ჩამოყალიბებული ლოგიკით, რაც უზრუნველყოფს სწავლის თანმიმდევრულობასა და მიზანმიმართულობას. სკოლაში არსებული კურიკულუმები არა მხოლოდ შესაბამისობაშია სწავლების პრაქტიკასთან, არამედ მისი ძირითადი საყრდენია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები	უცხოური ენების (ინგლისური, რუსული სწავლების პროცესი დაგეგმილია და შესაბამისობაშია სკოლის კურიკულუმის მოთხოვნებთან და ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებთან. ყველა საფეხურზე გათვალისწინებულია კონკრეტული მიზნები, თემები და აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა ენობრივი და კომუნიკაციური კომპეტენციების სისტემატურ განვითარებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** **<u>რჩევა:</u>** სასურველია, კურიკულუმში უფრო მეტი შემოქმედებითი პროდუქტის შექმნაზე ორიენტირებული დავალება და საგნობრივი პროექტის იდეა იყოს წარმოდგენილი. ეს დაეხმარება მოსწავლეებს საკუთარი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებაში, კრიტიკული და კრეატიული აზროვნების განვითარებაში და უფრო აქტიურად ჩართავს მათ სწავლის პროცესში. სასურველია ყველა საფეხურზე აქტიურად გამოიყენონ დიფერენცირებული და ინტერაქტიული მეთოდები, რომლებიც ხელს შეუწყობს სწავლის მიზნების ეფექტურ მიღწევას
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და ინტერვიურების პროცესიდან დაზუსტდა, რომ სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას, ახალი ცოდნის კონსტრუირება ხდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით, სასწავლო პროცესში

	აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე და ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოივეთა, რომ სასწავლო პროცესი ძირითადად დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, თუმცა არის მცირედი ცვლილებები, რომელსაც მოგვიანებით ასახავენ კურიკულუმში შესაბამისი ფორმით, ან შემდეგი სემესტრისთვის ითვალისწინებენ და ქმნიან ისეთ კურიკულუმს, რომელშიც გათვალისწინებულია აღნიშნული ცვლილებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სასწავლო პროცესი დაგეგმილია ეროვნული სასკოლო გეგმის და კურიკულუმის შესაბამისად. სასწავლო პროცესში მასწავლებელს შესაძლებლობა აქვს ჩართოს მოსწავლე აქტიურ შემოქმედებით პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** **<u>რჩევა;</u>** ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება სასურველია კათედრაზე მჭიდრო თანამშრომლობის გზით იქნას მიღებული.

სპორტი	ფიზიკური აღზრდის საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, ძირითადად ხელს უწყობს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. კურუკულუმში გაწერილი თემები, რომლის რაოდენობის გაზრდის მზაობა გამოხატა პედაგოგმა მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ტიპის დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ფიზიკური აღზრდის კომპონენტები ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. რაც დასტურდება გასაუბრების დროს. ასევე მაგალითად მესამე კლასში მასწავლებლის მიერ გადმოგზავნილი შემოქმედებითი ტიპის დავალება და განმავითარებელი შეფასების რუბრიკა ასახულია მესამე კლასის კურიკულუმის ჩარჩოში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მასწავლებლებმა დაასახელეს მაგალითები, სადაც ნათლად ჩანდა, რა მეთოდი გამოიყენეს კურიკულუმით განსაზღვრული კონკრეტული აქტივობის ჩატარებისას.

	ასევე დამატებითი დოკუმენტაციის გადმოგზავნისას, ვნახეთ ფოტომასალა, კონკრეტული ტექსტის მიხედვით შექმნილ აქტივობაზე, რითაც დასტურდება რომ, კურიკულუმის შესაბამისადაა დაგეგმილი.

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

სკოლის მიერ წარმოდგენილი წლიური სასწავლო პროგრამა თითოეული საგნისადმი/საგნობრივი კურიკულუმები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რემედიაციის პროცესების აღმწერი დოკუმენტები და მასწავლებელთა ინტერვიუები ცხადყოფს, რომ სკოლას აქვს შესაბამისი მატერიალური თუ ადამიანური რესურსი, რომ ადვილად გაუმკლავდნენ სასწავლო პროცესში წამოჭრილ დაუგეგმავ გამოწვევებს.

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	შეფასების სისტემა სამივე საფეხურზე არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. რაზეც მეტყველებს ის, რომ მოსწავლემ წინასწარ იცის, თუ რა კრიტერიუმებით იზომება მისი ნაშრომი, რა ქულებრივი წონა აქვს თითოეულ კრიტერიუმს, ყველა მოსწავლისათვის შეფასების რუბრიკა საერთოა, ხშირად ხდება თავად მოსწავლეების მიერ თვითშეფასება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა ეყრდნობა ვალიდურობას, გამჭვირვალობას, სანდოობასა და ობიექტურობას, რაც შეესაბამება ეროვნული გეგმით

	განსაზღვრულ სტანდარტებს. შეფასება არ განიხილება მხოლოდ როგორც მოსწავლის შედეგის ფიქსაცია, არამედ წარმოადგენს უწყვეტ, განვითარებისკენ მიმართულ პროცესს. განსაკუთრებით გამოსარჩევია, რომ სკოლაში შემუშავებული შეფასების რუბრიკები მჭიდროდ არის დაკავშირებული იმ აქტივობებთან, რომელსაც პედაგოგები სწავლების პროცესში იყენებენ. თითოეული რუბრიკა ეხმიანება აქტივობის შინაარსსა და მიზანს. რუბრიკებში გაწერილია შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც მოსწავლეებსა და მშობლებს აძლევს შესაძლებლობას, გაეცნონ შეფასების სტანდარტებს. თითოეული შეფასება ეფუძნება მოლოდინებს და არ არის დამოკიდებული სუბიექტურ მიდგომებზე. ვერიფიკაციის დოკუმენტის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მასწავლებლები პერიოდულად აანალიზებენ შეფასების პრაქტიკას, რაც აძლიერებს სისტემის ობიექტურობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** **<u>რჩევა:</u>** სასურველია უფრო აქტიურად გამოიყენოს სკოლამ შეფასების სხვა ფორმები, როგორებიცაა თვითშეფასება, მოსწავლეთა შეფასება და სხვა... ასევე, როგორც ზემოთ აღვნიშნე, შეფასების ფორმათა ორგანიზებისას სასურველია, მეტი სიზუსტით ერგებოდეს კონკრეტულ აქტივობას და მკაფიოდ იკვეთებოდეს შესაბამის სამიზნე ცნებებთან კავშირი.

უცხოური ენები	წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, უცხოური ენების სწავლების პროცესში გამოყენებული შეფასების სისტემა ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანია. სკოლამ წარმოადგინა სხვადასხვა შეფასების რუბრიკა. გასაუბრებისას პედაგოგებმა ასევე გამოხატეს მზაობა, რომ ახალი სასწავლო წლისთვის გადახედონ არსებულ რუბრიკებს და შეიმუშაონ უფრო დახვეწილი ვარიანტები, რომლებიც კიდევ უფრო მეტად იქნება დაკავშირებული საგნობრივ სტანდარტებთან და კონკრეტულ სასწავლო მიზნებთან. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია** **<u>რჩევა:</u>** სასურველია, რუბრიკები გახდეს უფრო კონკრეტული და დავალებების ტიპებზე მორგებული. მიზანშეწონილია, კათედრამ მოამზადოს რამდენიმე ნიმუში სხვადასხვა ტიპის დავალებისთვის (პროექტი, წერითი, ზეპირი,შემაჯამებელი), რათა პრაქტიკაში გამოყენება უფრო ადვილი გახდეს. სასურველია შემაჯამებელი დავალებები წარმოდგენილი იყოს მრავალფეროვანი და ღია ტიპის, არა მხოლოდ ტესტური ან დახურული, არამედ მორგებული ტექსტსა და თემატიკაზე, რაც გაზრდის მოსწავლეთა კრეატიულობასა და რეალური ენობრივი უნარების პრაქტიკაში გამოყენებას.

ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და ინტერვიუს პროცესიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შეფასების კრიტერიუმები შემუშავებულია საფეხურის სტანდარტის გათვალისწინებით. მოსწავლეები ფასდებიან კონკრეტულ სამიზნე ცნებებზე ორიენტირებით მრავალფეროვანი თემის საკითხის ფარგლებში. კათედრას შემუშავებული აქვს კონკრეტული დავალების შეფასების რუბრიკები. აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავსკვნათ, რომ სამივე საფეხურზე ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი ატარებს ჰოლისტურ ხასიათს. მორგებულია მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე და იძლევა დიფერენცირების საშუალებას.
სახელმწიფო ენა	როგორც სახელმწიფო ენის კათედრის მიერ გაზიარებული დოკუმენტებიდან, ისე გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სახელმწიფო ენის კათედრა მოსწავლეებს სთავაზობს შეფასების სისტემას, რომელიც არის: ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. ამის უზრუნველსაყოფად პედაგოგები მოსწავლეებს დავალებების პირობის გაცნობისთანავე აწვდიან შეფასების კრიტერიუმებსაც და წინასწარ თანხმდებიან იმ ძირითად ფორმაზე, რომლითაც შემდეგში მათ ნაშრომს შეაფასებენ.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
მათემატიკა	შეფასების რუბრიკები არის მიზნის შესაბამისად შედგენილი და მოიცავს თემის ფარგლებში ყველა იმ ინდიკატორს, რომელიც ეფუძნება შესაფასებელ თემას, ამასთან რუბრიკა არის ყველასთვის ხელმისაწვდომი და ადვილად წასაკითხი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** **<u>რჩევა;</u>** შეფასების რუბრიკა სასურველია შეიქმნას ყველა თემაზე და იყოს კურიკულუმშივე ჩაწერილი.
სპორტი	სრულად დააკმაყოფილებს საგნის შეფასების შეფასების სისტემა არის ვალიდურობას, იქნება გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. ფიზიკური აღზრდის პედაგოგის ინტერვიუ ადასტურებს, რომ შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას ახორციელებენ კათედრები, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია და დაკვირვების შედეგად ხდება მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკებისა და სისტემის შესაბამისობის დადგენა მოქმედ სტანდარტებთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები	სკოლამ გადმოაგზავნა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ზოგადი ნიმუშები და შემდეგ დამატებით დოკუმენტებში, ვიზიტის მეორე დღეს გადმოგზავნილ დოკუმენტებში წარმოადგინა კონკრეტული რუბრიკები საგანში კომპიუტერული ტექნოლოგიები. რუბრიკები მიემართება საგნის შედეგების ინდიკატორებს და გრძელვადიან მიზანს. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	შეფასების სისტემა დაწყებით საფეხურზე აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს.

4. <u>**სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**</u>

სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის ამსახველი დოკუმენტი, რომელიც ნათელ სურათს გვიქმნის იმისას, რომ მოსწავლეთა შეფასების სისტემა მტკიცედ ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

ა) ვალიდურობას;

ბ) სანდოობას;

გ) გამჭვირვალეობას;

დ) სამართლიანობასა და ობიექტურობას.

სკოლას განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირნი(კათედრის ხელმძღვანელები, კათედრის წევრები, წამყვანი მასწავლებელი და დირექციის წევრები), რომლებსაც ევალებათ აღნიშნული პროცესების მართვა/კონტროლი.

ინდიკატორი 2.2.1.4. დაკმაყოფილებულია.

5. <u>**სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**</u>

სკოლას აქვს კაბინეტური სისტემა თითოეული კათედრისა თუ საგნის დონეზე(ქიმიის, ბიოლოგიის, ფიზიკის კაბინეტი და ა.შ), რაც იძლევა საშუალებას სკოლამ შეინახოს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემები საჭირო ვადით.

ინდიკატორი 2.2.1..5. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **შეფასების ვერიფიკაციის მეთოდოლოგია;**
- **ფოტო მასალა.**

უცხოური ენები

- **დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივი** კურიკულუმები (ინგლისური, რუსული) დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი
- სსიპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ლეწურწუმეს თემის საჯარო სკოლა 2024-2025 სასწ. წელი ,უცხოური ენების კათედრის ოქმი(კათედრის თავმჯდომარის არჩევა, სამოქმედო გეგმის დამტკიცება, სწავლებისას გამოსაყენებელი რესურსების განსაზღვრა, შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობების განსაზღვრა, შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმების განხილვა, კურიკულუმების განხილვა,)
- შუალედური დავალების შეფასების რუბრიკა – რუსული ენა

- შეფასების რუბრიკები
- შემაჯამებელი დავალების შეფასების რუბრიკა – უცხო ენა (10 ქულიანი)
- სემესტრული ანგარიშის ოქმი შემაჯამებელი დავალებების რაოდენობის შესახებ
- შუალედური დავალების შეფასების რუბრიკა – ინგლისური ენა
- დიფერენცირებული სწავლების რუბრიკა (ინგლისური და რუსული ენა)
- დიფერენცირებული სწავლების მიდგომები უცხო ენაში (ინგლისური და რუსული)
- შემაჯამებელი დავალების ანალიზი(ინგლისური ენა5,6)
- საგნობრივი ანგარიში ინგლისურ ენაში
- საგნობრივი ანგარიში რუსულ ენაში

➢ შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დამტკიცების შესახებ ბრძანება

მათემატიკა

- შემოქმედებითი დავალებების შეფასების რუბრიკები;

- თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ინსტრუმენტები;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური

- I-VI კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმები
- I-VI კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმი
- I-VI კლასის მათემატიკის კურიკულუმი
- შეფასების რუბრიკები;

სახელმწიფო ენა

- საგნობრივი კურიკულუმები
- შეფასების რუბრიკები.
- დავალების შეფასების ნიმუშები

- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები
- განხორციელებული პროექტები.

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი ძირითადი და დამხმარე რესურსები აქტიურად გამოიყენება სწავლებისას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა აკმაყოფილებს ინდიკატორს: „კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში“. სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება როგორც ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ძირითადი რესურსები (სახელმძღვანელოები, სამუშაო რვეულები), ასევე დამხმარე რესურსები. მასწავლებლები გეგმავენ და ახორციელებენ სწავლა-სწავლების პროცესს იმგვარად, რომ მოსწავლეები ჩართულნი არიან სხვადასხვა ფორმატისა და ტიპის რესურსების გამოყენებაში. გამოიყენება ვიზუალური, აუდიო და ციფრული მასალები, რაც ხელს უწყობს თემების უკეთ

	აღქმასა და მოტივაციის ზრდას. რესურსების შერჩევა და გამოყენება მიზანმიმართული და არგუმენტირებულია, ემთხვევა გაკვეთილის მიზნებსა და მოსწავლეთა საჭიროებებს. სკოლაში ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკა და სხვა მასალები, რომლებიც ემსახურება ცოდნის გაღრმავებას. სასწავლო რესურსების გამოყენება ხდება როგორც საგაკვეთილო პროცესში, ისე კლასგარეშე აქტივობების დროს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.** **<u>რჩევა:</u>** სასურველია, რესურსების შერჩევისას სკოლამ გაითვალისწინოს ცალკეული მოსწავლის ინდივიდუალური სპეციფიკა და მეტად მრავალფეროვანი დამატებითი მასალა შესთავაზოს მათ. სხვადასხვა თემების განხილვისას შეიძლება კიდევ მეტი ციფრული თუ სხვა მატერიალური რესურსის შეთავაზება, რაც სწავლის პროცესს მეტად საინტერესოსა და მრავალფეროვანს გახდის.
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ სასწავლო პროცესი მოსწავლეზე ორიენტირებულად მიმდინარეობს. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ისინი მაქსიმალურად ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და სურვილებს და იყენებენ ყველა ხელმისაწვდომ რესურსს, რაც უზრუნველყოფს მათ აქტიურ ჩართულობას. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

	უცხოური ენების კურიკულუმში ძირითადი სასწავლო რესურსს წარმოადგენს გრიფირებული სახელმძღვანელო, რომელიც სრულად შეესაბამება სასწავლო მიზნებსა და სტანდარტებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია** **<u>რჩევა:</u>** სასურველია, რესურსების გამოყენების სტრატეგიები იყოს უფრო მკაფიოდ აღწერილი, მაგალითად, რომელი რესურსი რომელ უნარს ემსახურება. მიზანშეწონილია მოსწავლეთა უკუკავშირის სისტემატური გამოყენება რესურსების ეფექტიანობის შესაფასებლად. კათედრამ შეიძლება შეიმუშაოს რესურსების ნუსხა, რომელიც ეტაპობრივად განახლდება და მორგებული იქნება როგორც ასაკობრივ თავისებურებებზე, ისე ენობრივ დონეებზე.
ესთეტიკური აღზრდა	სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი სკოლის მიერ გადმოგზავნილი აქტივობების მიხედვით, ნათლად ჩანს, რომ კათედრა გარდა ძირითადი რესურსებისა, აქტიურად იყენებს დამატებით სასწავლო რესურსებს (მაგ. ტელე სკოლა, რეპროდუქციები, აუდიო და ვიზუალური მასალა)
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის კათედრას განსაზღვრული აქვს და სწავლა-სწავლების პროცესში აქტიურად იყენებს კურიკულუმით განსაზღვრულ ძირითად და დამხმარე სასწავლო რესურსებს, გასაუბრებისას პედაგოგებმა დაასახელეს როგორც ონლაინ ისე მატერიალური სახით არსებული რესურსები. რომელიც

	მოსწავლეებს ეხმარება ეროვნული სასწავლო გეგმი გათვალისწინებული შედეგების მისაღწევად და საკუთარი მიღწევების კიდევ უფრო გასაუმჯობესებლად. ასევე მათივე თქმით ეს დამატებითი რესურსები, უფრო მრავალფეროვანსა და სახალისოს ხდის საგაკვეთილო პროცესს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სწავლების დროს მასწავლებლები იყენებენ, როგორც ძირითად რესურსს, გრიფირებული სახელმძღვანელს სახით, ასევე დამატებით რესურს , რესურსები ეხმარება მოსწავლეებს უკეთ გაიგონ და მიაღწიონ შესაბამის საფეხურის მიზნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	კურიკულუმში გაწერილი დამხმარე რესურსები და მათ გამოყენება მოსწავლეებს უვითარებს მაღალ სააზროვნო უნარებს, რამაც შესაძლებელია მოსწავლეები უფრო ხალისიანად ჩაერთონ სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით. მაგალითად, სკოლის მიერ გადმოგზავნილ კურიკულუმის ჩარჩოში მითითებულია ონლაინ რესურსი: School.emis.ge

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლაში გამოყენებულია ძირითად რესურსად სახელმძღვანელო, ხოლო დამხმარედ, ძირითადად, ელექტრონული ბმულები.

2. <u>სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას</u>

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კათედრის პედაგოგებთან გასაუბრებისას და სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალების გადასინჯვისას მოხდა სასწავლო რესურსების ვალიდაცია-დამოწმება/დადასტურება შესაბამისობით განსაზღვრულ კრიტერიუმი/სტანდარტის მიხედვით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა აკმაყოფილებს აღნიშნულ ინდიკატორს. დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევა ხდება გარკვეული პროცედურების დაცვით, რაც უზრუნველყოფს მათ შესაბამისობას ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებთან და საგნობრივი სტანდარტებთან. სკოლაში მოქმედებს შეთანხმებული მიდგომა რესურსების შერჩევისას – მასწავლებლები განიხილავენ ახალ მასალებს. შეირჩევა მხოლოდ ის რესურსები, რომლებიც შეესაბამება მოსწავლეთა ასაკობრივ, კოგნიტურ და საგნობრივ საჭიროებებს.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
უცხოური ენები	სკოლის კურიკულუმებიდან და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს დასტურდება რომ, პედაგოგები აქტიურად თანამშრომლობენ და არჩევენ სტანდარტების დაცვით, მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებულ სასწავლო რესურსებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** **<u>რჩევა:</u>** სასურველია, სკოლამ რეგულარულად შეამოწმოს დამხმარე სასწავლო რესურსების გამოყენება და დადასტურებული რესურსები გამოიყენოს სწავლის პროცესში.ასევე სასურველია გამოყენებული რესურსები იყოს მრავალფეროვანი და ინტერაქტიული
ესთეტიკური აღზრდა	სკოლისა და კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან დგინდება, რომ ესთეტიკური საგნის სამივე საფეხურზე დამხმარე სასწავლო რესურსი არის ვალიდირებული სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. წარმოდგენილ კურიკულუმებში ძირითად რესურსად სახელმძრვანელოები, დამხმარე სასწავლო რესურსად კი სამინისტროს მიერ გაზიარებული რესურსებია მითითებული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

სახელმწიფო ენა	სკოლაში სახელმწიფო ენის კათედრა სწავლა-სწავლების პროცესში სახელმძღვანელოებთან ერთად იყენებს დამხმარე რესურსებს,, როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე რესურსების ვალიდაციას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	დამხმარე რესურსების ვალიდაცია ხდება კათედრაზე და შესაბამისად აისახება კურიკურუმში. **რჩევა**: თუმცა სასურველია სკოლამ შეიმუშაოს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციის წესი და კათედრამ დამხმარე რესურსების ვალიდაცია ამ წესით განსაზღვრული პროცედურებით განახორციელოს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	როგორც ვიზიტის დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს სკოლა ნამდვილად უზრუნველყოფს რესურსების ვალიდაციას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მასწავლებლების მიერ გამოყენებული რესურსი გაზიარებულია თანამშრომლებში.

3. **კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში ფუნქციონირებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) ლაბორატორიები, აღჭურვილია შესაბამისი რესურსებით. რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურ ლაბორატორიულ ჩართულობას სწავლების პროცესში. ქიმიის ლაბორატორია აღჭურვილია სტანდარტის შესაბამისად: გამწოვი კარადა, ცეცხლგამძლე მასალით დაფარული სადემონსტრაციო ცდისთვის მაგიდა და ა. შ.) დაცულია უსაფრთხოების ნორმები. ლაბორატორია შევსებულია სასწავლო პროცესისთვის საკმარისი რეაგენტებითა და ქიმიური ჭურჭლით.

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა აკმაყოფილებს ინდიკატორს: „კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით“. სასწავლო გარემო აღჭურვილია საჭირო მატერიალური ბაზით, რაც მოიცავს როგორც საბაზისო, ისე საგნობრივი და ტექნოლოგიური რესურსებს. სასწავლო სივრცეები (დაფები, მერხები, სკამები, ტექნიკა) ადეკვატურად პასუხობს მოსწავლეთა რაოდენობას, რაც ხელს უწყობს თითოეული მოსწავლის ჩართულობასა და სწავლების ეფექტიანობას. კლასებში მოსწავლეთა რაოდენობა არ აღემატება ზღვრულ ნიშნულს, რაც შესაძლებელს ხდის ინდივიდუალური მიდგომის განხორციელებისა. სკოლა უზრუნველყოფს აუდიტორიების მორგებულობას როგორც ასაკობრივ, ასევე საგნობრივ მოთხოვნებზე. მასწავლებლებს აქვთ შესაძლებლობა, გაამრავალფეროვნონ გაკვეთილები ვიზუალური, პრაქტიკული და ციფრული რესურსების გამოყენებით. რესურსების განაწილება ხდება კურიკულუმის შესაბამისად მოსწავლეთა საჭროებების გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები	პედაგოგებთან გასაუბრების და დოკუმენტებზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ კურიკულუმებში პედაგოგებს წარმოდგენილი აქვთ შემოქმედებითი დავალების იდეები პედაგოგების თქმით, ამ პროცესში ისინი იყენებენ ყველა ხელმისაწვდომ რესურსს, რაც სკოლაში არსებობს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.** **<u>რჩევა:</u>** მიზანშეწონილია, შემოქმედებითი დავალებების განხორციელებისას რესურსები წინასწარ დაიგეგმოს და უფრო მკაფიოდ აისახოს, როგორ უწყობს ხელს თითოეული მათგანი მოსწავლეთა უნარების განვითარებას.
ესთეტიკური აღზრდა	სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან შესაძლებელია დავსკვნათ, რომ სასწავლო შედეგები და შემოქმედებითი პროცესები უზრუნველყოფილია მატერიალური რესურსით, ასევე სკოლა სრულიად უზრუნველყოფს მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის დაკმაყოფილებას მატერიალური რესურსით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სახელმწიფო ენის სწავლებისათვის სკოლაში უზრუნველყოფილია კურიკულუმით გათვალისწინებული

	შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო მატერიალური რესურსი, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. სკოლაში არსებული მატერიალური რესურსი ამ ეტაპზე აკმაყოფილებს მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	კათედრაზე უზრუნველყოფილია მოსწავლეთა რესურსების მობილიზება ისე რომ, ყველა მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროება იქნას გათვალისწინებული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	ვიზიტის დროს აღნიშნეს მასწავლებლებმა რომ, სკოლას აქვს შესაბამისი მატერიალური რესურსი. რათა თემები უფრო გაამრავალფეროვნონ და გაახალისონ საფეხურების მიხედვით მასწავლებლებმა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია. 5 ინტერნეტში ჩართული კომპიუტერით, რაც იძლევა საშუალებას მოსწავლეთა ინდივიდუალური მუშაობის კომპიუტერებთან. (კლასში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა არის 5 მოსწავლე).

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მასწავლებლები სწავლის შედეგების მისაღწევად იყენებენ მატერიალურ რესურსებს, განსაკუთრებით, დაწყებით საფეხურზე.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

სკოლაში არსებული დასაქმებულთა პირადი საქმეები, ისევე როგორც e-school-ის ბაზა ცხადყოფს, რომ სკოლას ჰყავს კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.

ინდიკატორი 2.2.2.4. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;**
- **რემედიაციის პროგრამა.**
- **დასაქმებულთა პირადი საქმე,**
- **E-school-ის ბაზა.**

უცხოური ენები:

- დაწყებითი , საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები (ინგლისური, რუსული) დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი
- სსიპ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ლეწურწუმეს თემის საჯარო სკოლა2024-2025 სასწ.წელი ,უცხოური ენების კათედრის ოქმი(კათედრის თავმჯდომარის არჩევა, სამოქმედო გეგმის დამტკიცება, სწავლებისას გამოსაყენებელი რესურსების განსაზღვრა, შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობების განსაზღვრა, შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმების განხილვა, კურიკულუმების განხილვა,)
- ინტეგრირებული პროექტი – ჯანსაღი ცხოვრების წესი
- პრეზენტაცია – ჯანსაღი ცხოვრების წესი
- წლიური ანგარიშის ოქმი შემაჯამებელი დავალებების რაოდენობის შესახებ
- შუალედური დავალების შეფასების რუბრიკა – ინგლისური ენა
- დიფერენცირებული სწავლების რუბრიკა (ინგლისური და რუსული ენა)
- დიფერენცირებული სწავლების მიდგომები უცხო ენაში (ინგლისური და რუსული)
- PowerPoint პრეზენტაცია – Healthy Lifestyle / Здоровый образ жизни
- დაკვირვების ფორმა 1.გაკვეთილზე დაკვირვება თემატური ერთეულის განხორციელების პროცესში

საზოგადოებრივი მეცნიერებები

- კურიკულუმები საზოგადოებრივ მეცნიერებებში (მესამედან მეთორმეტე კლასის ჩათვლით)
- ელექტრონული რესურსების ჩამონათვალი ბმულების სახით
- ოქმი №1 საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის სამოქმედო გეგმა
- დანართი №20 ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
- დანართი №22 კათედრების სამოქმედო გეგმა
- დანართი №23 კომპლექსური დავალებები
- დანართი №25 მასწავლებლების ინდივიდუალური ანგარიშები
- პროექტი „გარდატეხის ასაკის გამოწვევები“
- დანართი N1--სასკოლო სასწავლო გეგმა
- დანართი N38 -პედაგოგიური საბჭოს ოქმი N2 2024-2025.
- დანართი N13- ვერიფიკაციის მექანიზმები
- დანართი N18 - პედ საბჭოს ოქმი N4 შეფასების კომპონენტებთან დაკავშირებით

- დანართი N42--ხარისხის განვითარებისა და პროფესიული განვითარების მხარდაჭერის ჯგუფი
- დანართი N40 -- კულიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის შესახებ
- საათობრივი ბადე I სემესტრი 2024-2025 სასწ წელი
- დანართი N68 --შინაგანაწესი

6. **მე და საზოგადოება მე–3 კლასი.** ჩემი სახლის ბინადრები.ფოტოკოლაჟის შექმნა ოჯახის ბინადრებზე ზრუნვის შესახებ
7. **მე და საზოგადოება მე–3 კლასი.** სკოლაში ქცევის წესი. საკლასო კონსტიტუციის შექმნა.
8. **მე და საზოგადოება მე–4 კლასი.** ესე „მე 20 წლის ასაკში“
9. **ჩვენი საქართველო მე–5 კლასი: ქართლი.** პრეზენტაცია ქართლის ციხე-სიმაგრეების შესახებ
10. **ჩვენი საქართველო მე–6 კლასი:** კახეთი. ბუკლეტის შექმნა კახური ღვინის პოპულარიზაციისთვის.

კომპლექსური დავალებები საბაზო საფეხურზე

5. **გეოგრაფია.** დედამიწა. ფიშბოუნის დიაგრამის საშუალებით როგორ მიმდინარეობს გაუდაბნოება აფრიკის კონტინენტზე.
6. **ისტორია.** პოსტერი „ოქრომრავალი კოლხეთი“
7. **მოქალაქეობა.** პრეზენტაცია „დემოკრატიული სკოლა“
8. **მოქალაქეობა.**პრეზენტაცია „ადრეული ქორწინება“

კომპლექსური დავალებები საშუალო საფეხურზე

5. **გეოგრაფია:** SWOT ანალიზი მოსახლეობის სიმჭიდროვის შესახებ
6. **გეოგრაფია:** თხზულება ადამიანისა და გეოგრაფიული გარემოს ურთეიერთკავშირის შესახებ
7. **ისტორია** :კომიქსების შექმნა პრეისტორიის შესახებ
8. **მოქალაქეობა**: პრეზენტაცია პოლიტიკა და მედია

მათემატიკა

- კურიკულუმების ჩარჩოები;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- კომპლექსური დავალებები;
- კათედრის ოქმები;

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური

- I-VI კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმები
- I-VI კლასის ბუნებისმეტყველების კურიკულუმი
- I-VI კლასის მათემატიკის კურიკულუმი
- III-IV კლასის მე და საზოგადოების კურიკულუმი
- გადმოგზავნილი ფოტომასალა

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

- (ბუნებისმეტყველება, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) კურიკულუმები, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, კომპლექსური დავალების ნიმუშები, შემაჯამებელი დავალებები, განხორციელებული შემოქმედებითი დავალებების ამსახველი ფოტო მასალა, სასკოლო სასწავლო გეგმა 2024-25წ, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, გასაუბრებისას გამოკვეთილი კათედრაზე ურთიერთგაზიარების პრაქტიკა და კათედრის დოკუმენტაციის სისტემური წარმოების დანერგვა.

სახელმწიფო ენა

- საგნობრივი კურიკულუმები.
- შეფასების რუბრიკები.
- დავალების შეფასების ნიმუშები
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები
- განხორციელებული პროექტები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სკოლა აწარმოებს კურიკულუმის მონიტორინგს და შეფასებას, ისე როგორც ეს აღწერილია მათ მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში. კათედრების მიერ შემუშავებულ სასწავლო წლიურ პროგრამას მონიტორინგს უწევს თავად საგნის პედაგოგი-სადიაგნოსტიკო წერებისა თუ შემაჯამებელი დავალებების SWOT ანალიზებისგან მიღებული მიგნებების საფუძველზე; სკოლის დირექცია, ხარისხის მართვის ჯგუფი და კათედრის წევრები კი ურთიერთ დასწრებებისა და ერთმანეთთან სასწავლო პროცესის განხილვაზე დაყრდნობით ახდენენ კურიკულუმის მონიტორინგს და შეფასებას.

ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

მრავალმხრივი მეთოდებით (სადიაგნოსტიკო წერები, საგაკვეთილო პროცესის დროს მასწავლებლების ჩანიშვნები თითოეულ მოსწავლეზე, ურთიერთდასწრების შედეგად გაკეთებული მიგნებები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზისა თუ არაფორმალური განათლებისას მოგროვებული ინფორმაცია/მონაცემები სწავლა-სწავლების შესახებ მუშავდება იმისათვის, რომ

მოხდეს აღმოჩენილი გამოწვევების გადაჭრის ეფექტიანი გზების მოძიება და ინტერვენციები კი აისახოს მომდევნო წლის სასწავლო პროგრამა-საგნობრივ კურიკულუმში.

ინდიკატორი 2.3.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**
   მასწავლებელთა ინტერვიუებმა, ისევე როგორც წარმოდგენილმა დოკუმენტაციამ, მოგვცა შესაძლებლობა დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესის მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაცია გამოყენებული იქნა იმისათვის, რომ მომხდარიყო სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერა.

საგნის პედაგოგების მიერ წარმოდგენილმა შემაჯამებელი დავალებების ანალიზმა და ინტერვიუებმა გვიჩვენა, რომ დიაგნოსტირების შედეგად მიღებული ინფორმაცია გაანალიზდა და მიგნებების შესაბამისად განახლდა სასწავლო პროგრამა, რათა მოხდეს თითოეული მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინება სასწავლო პროცესში.

ინდიკატორი 2.3.1.3 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმა;
- სადიაგნოსტიკო დავალებების ნიმუშები;
- ფოტო-მასალა;
- საგნობრივი წლიური პროგრამა/საგნობრივი კურიკულუმი.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. <u>**შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**</u>

მოსწავლეთა შეფასებისთვის სკოლა აქტიურად იყენებს, როგორც განმავითარებელ, ისე განმსაზღვრელი შეფასების სისტემას. ამას ცხადყოფს, როგორც სასკოლო სასწავლო გეგმა, ასევე კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. მოსწავლეთა მიღწევების შესახებ მონაცემების შესაგროვებლად კი სკოლა იყენებს მრავალგვარ მეთოდს, როგორც ფორმალური-სადიაგნოსტიკო წერები, შემაჯამებელი თუ პროექტული შინაარსის მქონე აქტივობების/დავალებები, ისე არაფორმალური განათლების ინსტრუმენტებისას, როგორიცაა სასკოლო ოლიმპიადები-სპორტში, შემეცნებითი ექსკურსიები სხვადასხვა საგანში და წრეობრივი/კლუბური მუშაობები (STEM კლუბი,). მათგან მიღებული მონაცემები კი იძლევა მოსწავლეთა განვითარების გზის ასახვას მრავალი კუთხით.

ინდიკატორი 2.3.2.1. დაკმაყოფილებულია.

2. <u>შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით</u>

სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა კონტექსტზე დაყრდნობით. მოსწავლეებზე დაკვირვება მიმდინარეობს, როგორც სასკოლო, ისე არა სასკოლო გარემოში (ექსკურსიები, შემეცნებითი ღონისძიებები), სწავლობენ მათ გარემოს ოჯახში, თემში, რათა გაირკვეს, თუ რა ახდენს გავლენას მოსწავლის პროდუქტიულობაზე, რომ შესაბამისად მოხდეს მოსწავლის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასება. სასწავლო პროცესის შეფასების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კონტექსტად მოიაზრება არაფორმალური განათლება, სკოლაში ყველა საფეხურზე ხორციელდება სასწავლო საგანმანათლებლო პროექტები სხვადასხვა საგნობრივი, სახელოვნებო თუ სპორტული მიმართულებით. განხორციელებული აქვთ სხვადასხვა სახის პროექტები, კომპლექსური დავალებები, გათვალისწინებული აქვთ სსსმ მოსწავლეთა საჭიროებები. სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, მასწავლებლის მიერ იგეგმება ინდივიდუალური შეხვედრები მოსწავლეებთან, გამოვლენილი სიძნელეების დაძლევის მიზნით ალტერნატიული გზების შეთავავზება/რემედიაცია.

ინდიკატორი 2.3.2.2. დაკმაყოფილებულია.

3. <u>შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები</u>

სკოლაში შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები. საგნობრივ სასკოლო პროგრამაში-საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებებიდან ჩანს, რომ შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან

წყაროებს, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური მიდგომები, რადგან გვხვდება დიფერენცირებული სასწავლო პროექტებიც/კომპლექსური დავალებები. მასწავლებლები აქტიურად იყენებენ როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს. ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების ერთობლიობა კი შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს. სკოლა სასწავლო წლის განმავლობაში ახდენს მოსწავლეთა დიაგნოსტირებას. რაც გულისხმობს ტესტური დავალებების საფუძველზე მოსწავლეთა ცოდნა-უნარების შესწავლას. მიღებული შედეგების გაანალიზებით კი ახალი სასწავლო წლისთვის წლიური სასწავლო პროგრამის-კურიკულუმის განახლებას.

ინდიკატორი 2.3.2.3. დაკმაყოფილებულია.

4. <u>**შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**</u>

სკოლაში შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ნამუშევრები; წარმოდგენილია შეფასების სხვადასხვა ტიპები: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ერთწლიანი სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლა სამ კომპონენტზე დაყრდნობით ახორციელებს მოსწავლეთა შეფასებას, რაც გულისხმობს, როგორც საკლასო და საშინაო დავალების კომპონენტებს, ასევე შემაჯამებელ შეფასებას. კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები აღწერს მოსწავლეთა განვითარების დინამიკას.

განხორციელებული პროექტები გვაფიქრებინებს, რომ სკოლა მოსწავლეების შესახებ ინფორმაციას აგროვებს არა მარტო ფორმალური, არამედ არაფორმალური განათლების გზითაც. მულტიფაქტორული მიდგომა გულისხმობს, მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, ამ უნარებზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზეგავლენის შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და ა.შ. ინტერვიურებისას სკოლის მასწავლებლებმა აღწერეს სკოლის მიერ განხორციელებული პროექტების აქტივობები, დეტალურად ისაუბრეს ამ პროექტის განხორციელების პროცესში სხვადასხვა კათედრების ინტეგრირებაზე, მოსწავლეთა შეფასებაზე და სხვა. შესაბამისად, ამ ინდიკატორით სკოლა აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

სკოლას აქვს გამოცდილება შეფასება მოახდინოს სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, კერძოდ, მასწავლებლები და დამრიგებელი აანალიზებენ მოსწავლის აკადემიურ და ფუნქციურ უნარებს, აგრეთვე აკვირდებიან რა გარემო ფაქტორები (ოჯახი, ტრადიცია, თემი, ფასეულობები და სხვა) ახდენს გავლენას შედეგზე.

ინდიკატორი 2.3.2.4. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი წლიური პროგრამა/საგნობრივი კურიკულუმები;
- პროექტული დავალებების ამსახველი გეგმები, ფოტო მასალა;
- სკოლის facebook- გვერდი;
- წლიური სასწავლო გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. <u>იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი</u>

სკოლას გააჩნია მზაობა, რომ არსებული კურიკულუმის ანალიზის საფუძველზე შეიმუშავონ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის საჭიროებათა პაკეტი. მასწავლებლები, დირექციის, ხარისხის განვითრების ჯგუფი და კათედრის წევრთა ურთიერთდასწრებისა და უკუკავშირის საფუძველზე შეიმუშავებენ სარეკომენდაციო პაკეტს, თუ როგორ გამოიყენონ დაგროვილი გამოცდილება სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად.

ინდიკატორი 2.4..1.1. დაკმაყოფილებულია.

2. **<u>კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს</u>**

როგორც ვიზიტის დროს გაირკვა სკოლაში ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში ტარდება სადიაგნოსტიკო წერები, რომლის გაანალიზების შედეგადაც უკვე იხვეწება განვლილი სასწავლო წლის ბოლოს (ივნისში) შექმნილი საგნობრივი წლიური პროგრამა- საგნობრივი კურიკულუმი. მასწავლებლები ინდივიდუალურად და შემდგომ უკვე საგნობრივ კათედრებზე შეხვედრისას ითვალისწინებენ წინა წლის გამოცდილებას, რაც აისახება ახალ კურიკულუმში; თემების განაწილება, დროის დათმობა, კომპლექსური დავალებებში მოაზრებული აქტივობების მოსწავლეთა განვითარების უახლოეს დონესთან შესაბამისობა და სხვა. იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და ასევე იგეგმება რემედიაციისათვის საჭირო პროგრამა.

ინდიკატორი 2.4.1.2. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საგნობრივი წლიური პროგრამები/საგნობრივი კურიკულუმები;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- კათედრის ოქმები;
- რემედიაციისათვის შექმნილი პროგრამა;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

თარიღი 17.10. 2025 წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: /ი. ბიწაძე/

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: /დ.თურმანიძე/

/ნ. ხუტილაშვილი /

/ც. ჩიტაია/

/ ნ. კილაძე/

/ე. ხუციშვილი/

/ნ. მარღიშვილი/

/მ.ფალელაშვილი/

/ შ. ჟღენტი/

/ე. ნაკაიძე/

/ ს. ცხვედიანი/